# სახალხო გაზეთი

№ 239 ხუთშაბათი, 24 თებერვალი, 1911 წ. წელიწადი მეორე. № 239

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე—10 კაპ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „სორაპან“-ში, მადათოვის კუნძულზე და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ—ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთის“ რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3—მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები ხელ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან შუადღის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი განქის ქ. N 12
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, почт. ящ. N 190.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.

ამ ნომერში ექვსი გვერდია.

კონსტანტინე დავითის ძე და ბარბარე კონსტანტინეს ასული თავადი და გრაფინია ვაჩნაძენი აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ დაუვიწყარ და ძვირფას პირველის დის, ხოლო მეორის დედამთილის

**ქეთევან** გრიგოლის ასულის **კნ. ვაჩნაძის**

გარდაცვალებას, რომელიც მოხდა 23 თებერვალს. პანაშვიდი შუადღის 1 საათზე და საღამოს 7 საათ. დღეს, 24 თებერვალს. გამოსვენება ბინიდან (გუნიბის ქ., № 38) ხვალ, პარასკევს, 25 თებერვალს, ვერის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში. დაკრძალვა კუკიის მართლ-მადიდებელთა სასაფლაოზედ. (1—1)

22 თებერვალს, ბარაბაშში (პრიმორსკის მხარეს) უეცრად გარდაიცვალა პოლკოვნიკი

**დიმიტრი** (მიტო) გიორგის ძე **ყარანგოზიშვილი**,

რასაც მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ მეუღლე მარიამ დიმიტრის ასული და შვილები: კნეინა ნინო დიმიტრის ასული ავალიშვილისა, კნეინა ნატალია დიმიტრის ასული მაყაშვილისა, სალომე და ელენე დიმიტრის ასულნი და მიხეილ და გიორგი დიმიტრის ძენი. პანაშვიდი გადახდილ იქნება ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში, პარასკევს, 25 თებერვალს, შუადღისას, 12 საათზე. (1—1)

ეკატერინე გრიგოლის ასული მიქელაძისა, მელიტონ გლახუჲს ძე მიქელაძე შვილებითურთ, გიორგი ალექსანდრეს ძე ჩხეიძე შვილებითურთ და ბონდო მიქელაძე აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ 26 თებერვალს ქ. ქუთაისში მთავარ ანგელოზის ეკლესიაში დანიშნულია ორმოცი დღის პანაშვიდი

**ალექსანდრა (მატუა)** მიხეილის ასულის **ჩხეიძისა და**
**ალექსანდრე (კუჭია)** მელიტონის ძის **მიქელაძის**

სულის მოსახსენებლად. (2—473—1)

კესარია, ნინო, ძაძუ, მიშა და ხერიოფა იორაიშვილები, ათინა და ივანე ბოლქვაძეები, კატო და ისიდორე კვაშლები, ანუ ურუშაძისა და თამარა და ივანე კაჩუხოვები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ დაუვიწყარ

**ანდრია მიხეილის ძის იორაიშვილის**

უეცრად გარდაცვალებას. გამოსვენება კვირას, 27 თებერვალს, ნაშუადღევის 4 საათზე, სოფელ შემოქმედში; დაკრძალვა შემოქმედის წმ. გიორგის ეკლესიაში. (2—474—1)

## 8 თებერვლიდგან გამოდის ახალი ორ კაპიკიანი გაზეთი „ხალხი“

ადრესი: დიდი განქის ქუჩა, № 12.

## ტფილისის კერძო სამკურნალო

გაფართოებულია და სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით.

განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

ქსენიევის ქუჩა, საკუთარი სახლები № 7, „ვერტცელის“ სასტუმროსთან. ტელეფონი № 500.

სტაციონარულ ავადმყოფთა მიღება ყოველთვის შეიძლება დღეს და ღამეს. სამბულატორო ავადმყოფებს მიიღებენ სპეციალისტი ექიმები:

**დამბაშიძე გ. დ.**: შინ. და ბავშვ. ყოვ. დღე; გარდა კვირისა 11—12 საათ.
**გედევანიშვილი მ. ა.** ნერ. და ელექ., ორშ., და პარ. $10^1/_2$—11 ს.
**გურჯი გ. ა.** შინაგ. შაბ. 1—2 ს. და კვირას 11—12 საათ.
**კარშინა ა. ა.** კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა $2^1/_2$—$3^1/_2$ ს.
**მალალაშვილი გ. გ.** შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.
**ქიქოძე ტ. ს.** შინაგანი. ორშაბათობით და ოთხშაბ. 9—10 ს.
**მანსვეტოვი გ. მ.** შინ., ორშ., ოთხშ., და პარასკ. 1—2 ს.
**მუსხელიშვილი გ. ს.**—თვალისა, ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 2—$2^1/_2$ ს.
**მელიქიშვილი ნ. მ.** ქირურ. და დედაკაც. ყოველ დღე 10—12 ს.
**ფირალოვი რ. ბ.** ქირურ. ყოველ დღე 12—1 ს.
**პაპოვი გ. ა.** ყურ., ყელის და ცხვირის ყოველ დღე 2—$2^1/_2$ ს.
**სოშალევსკი გ. გ.** ქირურ., ყოველ დღე, 9—11 ს.
**სულხანოვი ა. ი.** სამშობიარო და ქალის 12—1 ს.

**წამლობა „606“-ით**

სამკურნალოს აქვს მოწყობილი (Erlich-chata) საკუთარი მიკროქიმიურ და ბაქტეროლოგიური ლაბორატორია, რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.

რჩევა ღირს 50 კაპ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეთავაზებ. საფასურით. (წ.—1089—402)

## ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოკზლის ქუჩა, № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფონი № 695.

**მ. გაჩეჩილაძე**—ყოველ დღე 9—11 ს. კბილის ავადმყოფ.
**შ. ა. მიქელაძე**—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 1—2 ს.
**ა. ნ. დიასამიძე**—ყოვ. დღე, $11^1/_2$—$12^1/_2$ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.
**ნ. მ. მელიქიშვილი**—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2. ს.
**ა. პაპოვი**—ყელ., ყურ., ცხვირ. და ყოველ დღე 12—1 ს.
**ტერ-ნიკოლოზოვი დ. გ.**—შინაგ. და ბავშვ. ოთხშაბათობით და კვირაობ. $11^1/_2$—$12^1/_2$ საათ.
**ე. გ. ფედოროვი**—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 2 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი.

მიკროსკოპიული, ბაქტეროლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით. (წლ.—1090—565)

## გაზეთების მგზავნელი ბიურო

რომელშიაც შედიან შემდეგ გაზეთების და ჟურნალების რედაქციები: „სახალხო გაზეთი“, „სინათლე“, „ზაკავკაზსკაია რეჩი“, „ჰორიზონი“, „სურანდაკი“, „ცხოვრება და ხელოვნება“, „სალამური“, „ხათაბალა“, ჰყავთ აგენტები: ბათუმსა, სოხუმსა, ფოთსა, ოზურგეთსა, ხონსა, ქუთაისსა ჭიათურასა, გორსა, ბაქო'ს, მიხაილოვსა, ჩოხატაურსა, სენაკსა და თელავში.

საჭიროა აგენტები: განჯისა, ყარსისა, გიუმრისა (ალექსანდროპოლი), ნოვოროსიისკისა, ეკატერინოდარისა, ნუხისა, შემახისა, კავკავისა, არმავირისა, დონის-როსტოვისა, ჯულფისა, დერბენდისა, სამტრედიისა, ყვირილისა.

მიჰმართეთ ერასტე დავითის ძე გორდელაძეს შემდეგის ადრესით: ტფილისი, ერევნის მოედანი, სახლი ხარაზოვისა.

## ტეხნიკური და ელექტრო-ტეხნიკური კანტორა და მატერიალური საწყობი

## „დვიგატელ“

გ. ი. ყულიჯანოვი, ნ. ი. როსტომაშვილი და ამხ.

გოლოვინის პროსპექტი, ამირაღოვის სახლი, № 38.
(Головинскій пр., противъ Разгонной станціи).

მიიღება ყოველგვარი ტეხნიკური და ელექტრო-ტეხნიკური სამუშაო.

**გამართვა ელექტრონით განათებისა,**

მოთარიგება ელექტრონულ სადგურებისა. მოწყობა: ელექტრონულ სიგნალიზაციისა, ტელეფონისა, ზარებისა და სხვა, ელექტრონის

**სეტყვა-ამცდენის** (Градоотводы) **გამართვა.**

საწყობში **დიდი არჩევანია** არმატურისა. „სჩეტჩიკები“ ბერგმანისა. ეკონომიური და ჩვეულებრივი, სხვა და სხვა საზღვარ-გარეთის ყირმების **ლ ა მ პ ე ბ ი.** შედგენა პროექტებისა, სმეტისა და სხვ. მიიღება აგრეთვე აბონიმენტები.

✦ ფასები ყველასათვის ხელმისაწვდომია ✦ (10—1098—1)

## გამგეობა ყვირილის სამეურნეო საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა

ამით აცხადებს, რომ წევრთა მორიგი წლიური საზოგადო კრება დანიშნულია მიმდინარე 1911 წლ. მარტის 13-ს დღ. ადგილობრივ კლუბის დარბაზში დილის 9 საათზე, რისთვისაც გამგეობა სთხოვს წევრთ, დაესწრონ კრებას.

**განსახილველი საგნებია:**

1) მოხსენებანი: საბჭოსი, გამგეობის და სარევიზიო კომისიისა.
2) განხილვა და დამტკიცება 1910 წ. ანგარიშისა.
3) განხილვა და დამტკიცება 1911 წ. ხარჯთ-აღრიცხვისა.
4) არჩევა: ა) ორი საბჭოს წევრისა, ბ) ერთი გამგეობის წევრისა, გ) სარევიზიო კომისიის წევრების და მათის კანდიდატებისა, რომლებიც იცვლებიან თანახმად წესდების 44, 53 და 70 §§-სა. (3—1087—2)

## ქართულ სიტყვა-კაზმულ მწერლობის საზოგადოების საბჭო

აცხადებს, რომ 1911 წლის განმავლობაში გამოსცემს იგი რამდენსამე **კრებულს მხატვრულ, ფილოსოფიურ და მეცნიერულ შინაარსისას.** პირველ კრებულისთვის მასალა 15 თებერვლამდე მიიღება. კრებული სივრცით 300—500 გვერდამდე იქნება. საზოგადოების წევრთათვის და „სახალხო გაზეთის“ გამომცემელთან შეთანხმებით, ამ გაზეთის ხელის-მომწერთათვის ეღირება 50 კაპ.; სხვებისათვის კრებული ეღირება არა ნაკლებ 1 მანეთისა. კრებულის გამოცემისთაობაზე მსურველთ შეუძლიან მიჰმართონ მოსალაპარაკებლად სიტყვა-კაზმულ მწერლობის საბჭოს თავმჯდომარეს გ. ს. რცხილაძეს (იზმაილ. ქ. № 2. (0—18)

**ექიმი** კბილისა **ალ. სოლოღაშვილი**
იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 ს. გოლოვინის პროსპ. N 12, სახლი მდივანისა. (ლ)

**ექიმი ე. ვაშაკიძე**
იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. გოგოლისა და ბატარეინის ქუჩების კუთხე N 24. 0—319

ელექტრონისა და რენტგენის
**სამკურნალო მიხეილ გედევანიშვილისა**
ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილ. 12—1 ს., საღ. 6—7 ს., კვირაობით კი მხოლოდ საღამოთი 6—7 საათამდე გასინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ., N 20. (0—6.—52)

ქ. ქუთაისში
ქირურგიული და დედათა სნეულების
**სააავადმყოფო**
სამშობიარო განყოფილებით ექიმის
**ივ. ზოკერიასი**
გიმნაზიის ქუჩა, თეატრის პირდაპირ. იქვე წამლობენ სიფილისს პროფესორ ერლიხის ახალი საშუალებით „606“. (30—405—46)

**ექიმი** ქუთაისში, **ს. ი. ვოლოხი**
კათოლიკების ქუჩა N 33.
საზღვარ-გარეთიდან დაბრუნებისას იწყობს სიფილისის მკურნალობას 606 პრეპარატით ერლიხ ხატა. სიფილისის სისხლის გამოკვლევა ვასსერმანისებურათ საგანგებოდ მოწყობილ ლაბორატორიაში. წამლობა აგრეთვე ჭლექიანისა და საყმაწვილოსა სხვა და სხვა ტუბერკულინებით (ყოველ კვირა ახალ-ახალი პრეპარატებით). ბ.ბ. ექიმებს, როგორც ადგილობრივთ აგრეთვე ქალაქ გარეთელებისთვის, მოთხოვნისათანავე ეგზანებათ საგანგებო შეხავევებში სტერილიზაცია გაკეთებული პრობეტები სისხლის გამოგზანისთვის ვასერმანისებურათ გამოსაკვლევად. (50—1078—8)

**ექიმი ა. ნ. დიასამიძე**
კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—1 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. N 4, სახლი ჯაბამიშვილისა. (ლ)

**ექიმი** ქ. ქუთაისში **თ. ტუღუშლაშვილი**
იღებს შინაგან და სპეციალურად ვენერიულ, საშარდე და სასქესო აგებულობათა სიფილისის და კანის სნეულებით ავადმყოფთ. 9—12 ს. 6—8 საღ., ტფილისის ქ. მირიანოვის სახლი. (50—15—31)

**ექიმი შ. ა. მიქელაძე**
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიანი ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—6 ნახ. საათამდის. გაზეთის ქ. ტელეფონი N 816.

**ექიმი გ. ს. მუსხელიშვილი**
იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 9-დან 11-მდე ვორონცოვის ქ., № 9 (ლ)

**ექიმი რ. დ. მაჭავარიანი**
იღებს ავადმყოფთ ყოველ დღე დილით 8—11 საათამდე და საღამოს 6—8 საათამდე ბაკინოვის ქუჩა N 7. თ.—199—93

**ექიმი ჯაფარიძე**
ქ. ქუთაისში
იღებს ყურის, ყელის, ცხვირის, ბავშვებისა და შინაგანის სნეულებით ავადმყოფებს ყოველ დღე. ტფილისის ქუჩა, სახლი თავ. ნიჟარაძისა. (თ.—188—85

**ექიმი** კბილისა **ნინო რცხილაძე**
იღებს ავადმყოფთ დილით 9—2 საათამდე. საღამ. 5—7 საათ. იზმაილოვის ქ. N 2.

## სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის. ანჩის დიდი ქუჩა, N 3. ალექსანდრესს, ბაღის მახლობლად, ტელეფონი N 483.

**ფასი რჩევისათვის 50 კაპ.**

ავადმყოფთა მიღება $9^1/_2$-დან 5 ს.-დე.

**ი. მ. ახპიხოვი.** ცხვირ., ყელ. და ყურისა. ყოველ-დღე 1—2 საათამდე.
**ვნუკოვი**—ქირურგ. ყოველდღე 12-1 ს.
**დ. გრეიცი**—თვალისა, ყოველ დღე 1—2 ს.-მდე.
**მონსე**—ბავშვთა, შინაგ. ავადმყ. ყოველ დღე, გარდა კვირა უქმისა $1^1/_2$—3 სათ
**ნოვიცკი**—ბებია ქალებ., ყოველ დღე 1—2 ს.
**კალამკაროვი**—ქალის ავად. ყოველ დღე, გარდა ხუთშაბათისა, 12—1 ს.
**უკლადნიკოვი**—შინაგ. ავად. ყოველ-დღე 4—5 საათ.
**რიდელი**—შინაგ. ავად. და ბავშვ. ყოველ დღე, გარდა ხუთშ. და კვირისა 12—1 საათ.
**თოთიბაძე**—სიფ., ვენერ., კან. ყოველდღე 1—3 საათ.
**ჩუდნოვსკი ი.** ნერვ., სულ., ელექტრო-თერაპია, ყოველ დღე გარდა კვირა-უქმისა $11^1/_2$—$12^1/_2$ საათ.
**სულაკოვი**—ყოველ დღე, ქალებ. და საბებიო: 3 ნახ.—4 ნახ. საათ.
**რუდენკო**—შინაგ. და ბავშვ. ხუთშაბ. და კვირაობით 3—4 ს.
**ვეხელოვოზოროვი ნ. ნ.**—ქირურგ. ავად. ყოველ დღე 2—3 საათ.
**იოხელიანისა**—ქალ. ავად., ორშაბათ. ოთხშ., პარასკ., კვირა 11—12 საათ.
**ლიმონი**—კბილის ავად. ყოველ დღე 9—11 საათამდე.
**დ. ა. მხიტარიანცი**—სიფ., ვენერ., დილის 9 საათ. 10 ნახევარ ს. ყ.დღე.
**ყალამქაროვი**—ნერ., ელექტრო-თერაპ., ყოველდღე 2—3 საათ.

**კუთხეებში შეუშხაპუნებენ და ძარღვებში შეუშვებენ „606“-სს საღამოს 6—7 საათამდე.**

კონსულტაცია, მასსაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. სიფილისის (ათაშანგის) გამოკვლევა სისხლში პროფ. ვასსერმანის შრატით. (100—6.—56)

## ტფილისი, 24 თებერვალი

**სათათბირო და ბიუჯეტი.** სათათბირო უკვე შეუდგა ბიუჯეტის განხილვას. ფინანსთა მინისტრმა ჩვეულებისამებრ ვრცელი სიტყვა უძღვნა ბიუჯეტის განხილვას და ჩვეულებისამებრივე ოპტიმისტურად განაცხადა, ფინანსიური მდგომარეობა რუსეთისა შეურყეველიაო. განსაკუთრებით დიდს ყურადღებას აქცევს მინისტრი იმ გარემოებას, რომ რუსეთის ხაზინაში დღეს საკმაოდ დიდი თავისუფალი თანხა საშუალებას მოგვცემს შემდეგში, თუ მოვისურვებთ, დიდი სესხი ავიღოთო. ოპოზიციის ორატორებმა ხაზ-გასმით აღნიშნეს, რომ თავისუფალ თანხის გაჩენა ქვეყნის ეკონომიურ კეთილდღეობის მომასწავებელი არ არისო. აღნიშნავს, რომ უდიდესი ნაწილი ამ თანხისა შესდგა იმ ჯამიდან, რომელიც აღებულს სესხს გადარჩა.

საზოგადო მსჯელობა ბიუჯეტის შესახებ ჯერ არ დასრულებულა, მაგრამ ეხლავე შეიძლება ითქვას, რომ იგი სათანადო სინათლეს ვერ მოჰფენს ბიუჯეტსა და რუსეთის ფინანსიურს მდგომარეობას. საქმე იმაშია, რომ როგორც არა ერთხელ აღგვინიშნავს ჩვენს გაზეთში, სახელმწიფო სათათბიროს საბიუჯეტო უფლებები ძალიან ფრთებ-შეკვეცილია. სათათბიროს ნება არა აქვს ბიუჯეტის უდიდეს ნაწილში რაიმე ცვლილება შეიტანოს, ხარჯები შეამციროს, ან ისეთი დანიშნულება მისცეს, რანაირიც თვით სათათბიროს მიაჩნია სასარგებლოდ. უმთავრესი ხარჯები, რომელთა შეცვლაც სათათბიროს შეუძლიან, კულტურულ განმანათლებელ ხასიათისაა. აქ კი სათათბიროს არა ჰსურს რაიმე შემცირება შეიტანოს. ამ რიგად, სათათბიროს საბიუჯეტო მუშაობა წვრილმან ცვლილებებს ვერა სცილდება.

უმთავრესი საკითხი კი—რეორგანიზაცია მთელი საფინანსო სისტემისა და ძირითადი ცვლილება ხარჯების განაწილებისა—სათათბიროს განუხილველი რჩება. ამიტომაა სათათბირო რომ ჯეროვანის ენტუზიაზმით არ ეკიდება ბიუჯეტის განხილვას.

მიუხედავად ამისა, მაინც საინტერესოდ უნდა ჩაითვალოს ის კამათი, რომელიც ბიუჯეტის სხვა და სხვა მუხლების განხილვის დროს გაიმართება. მოვაგონებთ ჩვენს მკითხველებს, რომ სათათბირომ უნდა განიხილოს რამდენიმე საკითხი, რომელთაც ჩვენი ქვეყნისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს, მაგ., საკითხი უნივერსიტეტის გახსნის შესახებ და სხვ.

ჩვენც ბიუჯეტის განხილვას ფეხდა-ფეხ მივყვებით და შევჩერდებით ხოლმე იმ საკითხებზე, რომელთაც ჩვენი ქვეყნისთვისაცა აქვთ მნიშვნელობა.

## ქართული პრესა

გაზეთ „თემში“ ბ-ნი მ. ა. ეხება საჭირ-ბოროტო საკითხს—საზოგადო და პროფესიონალურ განათლების მნიშვნელობას. წერილს წინ უძღვის ვრცელი თეორეტიული მოსაზრება საზოგადო განათლების მნიშვნელობის შესახებ, მაგრამ, როგორცა სჩანს, ავტორი უფრო პრაქტიკულს მიზანს ისახავს—ორს არსებულ ქართულ გიმნაზიის დაცვას.

„ჩვენს საზოგადოებაში ამ ბოლო ხანს ტრიალებს ის აზრი, რომ თუ—სწერს ბ-ნი მ. ა.—სკოლას პროფესიონალური ხასიათი მივეცით, თუ ვითომდა პირდაპირ ცხოვრებაში გამოსადეგი რამე ხელობა, პროფესია, შევასწავლეთ მოზარდ თაობას, საქართველო ბედნიერ ქვეყნად გადიქცევა, ჩვენს ბედს ძაღლი არ დაჰყეფს. პროფესიონალური განათლების გავრცელება ბევრმა ლოზუნგად გაიხადა, დემოკრატიულ პრინციპად აღიარა და ამ მოსაზრებით შეიარაღებული სასტიკად ებრძვის საქართველოში ორ არსებულ საშუალო სკოლას, განსაკუთრებით ტფილისის საშუალო სკოლას“.

ამ ადგილას ავტორი ამნაირს შენიშვნას უკეთებს:

„ორი საშუალო სკოლა (ქუთაისში და ტფილისში) არც ჩვენ გვაკმაყოფილებს. ჩვენი უკუღმართი ცხოვრების შედეგია მათი ნაკლულევანებანი. მაგრამ იმედი გვაქვს დადგება დრო, პირობები შეიცვლებიან და საპატიო ალაგს დაიჭერენ ეს სკოლები ჩვენი ცხოვრების წინსვლაში“.

მიუხედავად იმისა, რომ „პროფესიონალური განათლების გავრცელება ბევრმა ლოზუნგად გაიხადა, დემოკრატიულ პრინციპად აღიარა“ და ბრძოლა დაუწყო ორს არსებულ საშუალო სკოლას, ბ-ნი მ. ა. მაინც არ არის

პროფესიონალურ განათლების წინააღმდეგი. პირიქით ამ განათლების რიგიანად მოწყობა ფრიად საინტერესო და საამდროვო საკითხად მიგვაჩნია. მაგრამ ჩვენ ამასთან კარგად გვესმის საზოგადო განათლების გამავრცელებელ სკოლის მნიშვნელობა ერის და კაცობრიობის წინსვლაში და ამისათვის თავდაპირველად საზოგადო სკოლის ქომაგი და დამცველნი ვართ“.

ამის შემდეგ ავტორი განმარტავს რომ ევროპაში არსებობს ორი ტიპი საზოგადო სკოლისა; მოჰყავს სხვა და სხვა მეცნიერთა აზრი საზოგადო განათლების მნიშ-

ვნელობის შესახებ, საზოგადო სკოლას, როგორც სულიერ კულტურის გამავრცელებელ დაწესებულებას, უპირისპირებს პროფესიონალურს სკოლას, რომელიც მხოლოდ პრაქტიკულს მიზნებს ისახავს. ამის შემდგომ, როდესაც ბ-ნ მ. ა.-სთვის ცხადი შეიქმნა საზოგადო განათლების უპირატესობა, საჯაროდ აღიარა:

„ჩვენი მოვალეობაა საზოგადო განათლების ღირებულება წინ წამოვაყენოთ და მოსაზრებას, რომელიც მხოლოდ გაუვითარებელ საზოგადოებისათვის აქვს მნიშვნელობა გვერდი ავუქციოთ. პირდაპირი შედეგი გონებას იმოდენად აკვირვებს და აცვიფრებს, რომ მოუმზადებელი ადამიანი ფიქრსაც ვერ ახერხებს უფრო შორეულ შედეგების შესახებ. ამ გარემოებით ბევრი ჩვენში სარგებლობს ნებით თუ უნებლიეთ. ჩვენი საზოგადოება უფრო ხშირად პირველ შთაბეჭდილებათა ზედგავლენით სცხოვრობს. პირდაპირი სარგებლობა სპეციალურ განათლებისა იმდენათ მარტივია, ნათელია უმეტესობისათვის, რომ გონებაში არ მოსდით ბევრს დაუფიქრდენ ცუდ მის მხარეებს და ეს აიხსნება მით, რომ ეს ცუდი მხარე იმგვარივე მარტივი არ არის, როგორც კარგი მხარე."

აი ეს ცუდი მხარეები ვერ გაუთვალისწინებია საზოგადოების ერთს ნაწილს, რომელიც პროფესიონალურს განათლების მომხრედ უნდა ჩაითვალოს.

„მხოლოდ ამით აიხსნება ის სიმსუბუქე,—სწერს ბ-ნი მ. ა.—რომელიც გამოიჩინა ერთმა ნაწილმა ჩვენი საზოგადოებისამ, როცა ტაშის ცემით მიეგება ერთ ორატორს ერთ საზოგადო კრებაზე, შემდეგი სიტყვებისათვის: ჩვენ არ გვინდა საშუალო სკოლა, რომელიც არსებობს; სჯობს ის ფული, რაც მას სჭირდება, სახალხო პროფესიონალურ განათლებას მოვახმაროთო." ბ-ნ მ. ა.—ისა და მის თანამოაზრეთა სასიამოვნოდ საზოგადოებას დიდი სიფრთხილე გამოუჩენია, და ჩვენს საზოგადოებასაც შერჩენია საზოგადო საშუალო სკოლა. აი, რასა სწერს სიტყვა-სიტყვით ბ-ნი მ. ა.

„სიფხიზლემ თავისი გაიტანა, არ მოხდა ის, რაც ზოგიერთებს სურდათ და სურთ შესაძლებელია ახლაც. ჩვენს საზოგადოებას შერჩა საზოგადო საშუალო სკოლა; მართალია ამ სკოლას ბევრი ცუდი მხარე აქვს, ბევრი ნაკლულევანებაც, მაგრამ ის არის ჩვენი ცხოვრების უკანასკნელი 30 წლის ცოცხალი ისტორია, რომლის უარყოფა და მოსპობა მოუხერხებელიც და შეუძლებელიც არის. ძნელი საქმეა, ნამეტანი ძნელია, გადარწმუნება გადარჯულება ადამიანის, რომელმაც ერთხელ მიიღო ის, რის შესახებაც არ დაფიქრებულა კარგად.

ძნელი საქმეა ამგვარ ადამიანის მორჯულება, მაგრამ სინდისი თხოულობს ამის შესრულებას.

ჩვენი მოვალეობაა ორი არსებული საზოგადო საშუალო სკოლა შევინარჩუნოთ, რადგანაც ავად თუ კარგად მხოლოდ ეს ორი სკოლა ემსახურება ჩვენ საზოგადო განვითარებას".

როგორც ზევითაც ვსთქვით, თეორეტიული მოსაზრებანი ბ-ნმა მ. ა. მხოლოდ იმიტომ მოიყვანა, რომ ამ მოსაზრებით უფრო მეტი ფასი და ღირებულება მიეცა თავის, პრაქტიკულ მიზნის—არსებულ ქართულ საშუალო სკოლათა დაცვისთვის.

ჩვენის აზრით, თეორეტიული შეხედულებანი საზოგადო განათლების მნიშვნელობაზე სრულიად მოსატანი არ არის, რადგანაც არავინ არ იქნება იმის წინააღმდეგი, რომ სულიერს კულტურას თუ მეტი არა, ნაკლები მნიშვნელობა არა აქვს, ვიდრე მატერიალურს კულტურას. შეიძლება ადამიანი სულიერს კულტურას და მის გამავრცელებელ საზოგადო დაწესებულებას უპირატესობას აძლევდეს, მაგრამ ამასთანავე ერთად ეჭვის თვალით უცქეროდეს ჩვენს ქართულს საშუალო სკოლებს, როგორც ჯერ ერთი, სულიერ კულტურის გამავრცელებელ დაწესებულებას და მეორეც, როგორც ისეთს სკოლებს, რომელთა შენახვაზე დახარჯული შრომა და ფული სარგებლობის სრულს ექვივალენტს არ იძლევიან. როდესაც ჩვენს საშუალო სასწავლებლებზე ვლაპარაკობთ, მხედველობაში უნდა მივიღოთ არა საზოგადო მოსაზრებანი სულიერსა და მატერიალურს კულტურის შესახებ, არამედ ჩვენი ქვეყნის რეალური პირობანი და საჭიროებანი; ამ თვალსაზრისით უნდა შევხედოთ საკითხს და გამოვარკვიოთ, რამდენად პროპორციონალურად იხარჯება საზოგადოებრივი ენერგია ჩვენი ხალხის სულიერ და მატერიალურ კულტურის მოთხოვნილებათა და საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად.

ამ საკითხის გარკვევას ჯერ ჩვენ არ შევუდგებით, რადგანაც ბ-ნი მ. ა. გვპირდება შემდეგს წერილებში კიდევ შეეხები ამ საკითხსო. ჩვენც მოვუცდით, სანამ ავტორი თავის დანაპირებს განახორციელებდეს, ჯერ-ჯერობით კი ჩვენ ეს მცირე შენიშვნაც საკმაოდ მივაჩნია.

# სახელმწიფო სათათბირო

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან).

თ-დი გოლიცინი თავმჯდომარეობს და აცხადებს: დღეს სენატის არსებობის ორასი წლის თავია, ნება მომეცით მის თავმჯდომარეს სათათბიროს სახელით მივულოცო.

ხმები: „გთხოვთ".

მინისტრთა ლოჟაში ფინანსთა მინისტრია. ხარჯთ-აღრიცხვაზე კამათი გრძელდება.

ეროშკინი მინისტრის მიერ აღიარებულ სახელმწიფოს ნაღდ ფულის თაობაზე აცხადებს: აქ სასიხარულო არა არის-რა, ვინაიდან ეს ნაღდი ფული საფრანგეთში აღებულ სესხიდან შესდგა და რუსეთს 175 მილიონი ვალი დაადო.

ბუდჯეტი ხაზინის სიმდიდრე, ქვეყნის კეთილ-დღეობას არ მოასწავებს. თანამედროვე ცხოვრების სინამდვილე სულ სხვას გვიჩვენებს. გადაშალეთ რომელიც გაზეთიც გნებავთ და ამოიკითხავთ აუარებელ ცნობებს სიკვდილით დასჯაზე, სტუდენტთა გადასახლებაზე, ჯარიმებზე და სხვა. ესეც საკმაო საბუთს გვაძლევს დავსკვნათ, თუ მთავრობა რაზედა ჰხარჯავს ხალხის ნაოფლარს... ხალხი სათათბიროს ტყუილად მიჰმართავს ხოლმე და მთავრობისაგანაც არაფერს სიკეთეს არ უნდა ელოდეს—სათათბიროს უმრავლესობა მთავრობის ფეხის ხმას ასდევს და ყოველგვარ რეაქციონურ დაწყებულებაში მხარს აძლევს. სანამ საყოველთაო საარჩევნო უფლება არ დამყარდება, ნამდვილი ხალხის წარმომადგენლობა და ხალხური მმართველობა წარმოუდგენელია. სანამ მთავრობა არ შეიგნებს, რომ იგი ხალხისთვისაა და არა ხალხი—მისთვის, მანამდე რუსეთის კეთილდღეობაზე ლაპარაკი უსაფუძვლოა (მარცხნივ ტაშის ცემა).

ბოგროვსკი მეორე. სათათბირო უხალისოდ ეკიდება ხარჯთ აღრიცხვის განხილვას, რადგანაც ამ შრომის უნაყოფობაში დარწმუნდა. ხარჯთ-აღრიცხვის კომისია, ბევრის შრომისა და წვალების შემდეგ, ისევ სამინისტროს მიერ შემუშავებულ გეგმას ადასტურებს. ხაზინის ნაღდი თანხა აღებულ სესხისა და არყის მონოპოლიიდან შესდგა. ასეთი თანხა ქვეყანას ვერ გაამხიარულებს, პირიქით, საგონებელში ჩააგდებს. თავისუფალი თანხა მთავრობას ადიდგულებს და ომიანობის სიღრღელს უშლის, რის დამადასტურებელიცაა პოტსდამის პაემანი, ჩინეთისადმი მოთხოვნილებათა წაყენება და სხვა. მთავრობა თავისუფალ თანხას ქვეყნის კულტურულ-განმანათლებელ საქმეს კი არ ახმარებს, არამედ თავის დაცვისა და ამურის გზის გაყვანას, იგი სამხედრო საქმეზე ჰფანტავს მას. შემოსავლის ზრდა ცხადად ჰმოწმობს, რომ აუტანელი გადასახადებია შემოღებული, ხარჯთ აღრიცხვის მთელი სიმძიმე იმავე უმიწა-წყლო სოფლის გლეხს აწვება კისრად. დღევანდელი ფინანსიური პოლიტიკა გლეხ-კაცობას ვერაოდეს ვერ დააკმაყოფილებს. მინისტრი 3 მილიარდ ნაღდ ფულს უფრთხილდება, რომ საზღვარ-გარეთ ნდობა არ დაჰკარგოს, რომელიც სცდილობს რუსეთის თვით მპყრობლობას მფარველობა გაუწიოს. ასმილიონობით სამხედრო სახელის ძიებაზე ჰფლანგავს მთავრობა, ორი მილიონი კი არ ემეტება, რომ ხალხს წერა-კითხვა შეასწავლოს— მთავრობა სცდილობს ხალხის ფულით ძველს პოზიციაზე გამაგრდეს, რომელიც იაპონიის ომმა შეარყია, მაგრამ ხალხს სამხედრო სახელის მოხვეჭა არ ესაჭიროება: ხალხსა ჰსურს, რომ სახელმწიფოს სიმდიდრე შინაურ მშვიდობიან განვითარებასა ჰხმარდებოდეს. ხალხი საკმაოდ დავაჟკაცდა და შესძლებს კიდეც მთავრობის სამხედრო ტრფიალის ალაგმვას—და უფრო ადვილად მოსალოდნელია, მთავრობა დაიღუპოს, ვიდრე რუსეთი ახალ სირცხვილსა სჭამდეს. (უკიდურესი მემარცხენენი ტაშს უკრავენ).

ლვოვი პირველი. რუსეთის ფინანსიური წარმატება მთავრობის მეცადინეობამ კი არა, ბედნიერ შემთხვევამა და ხელშემწყო პირობებმა წარმოშო. რუსეთის მეურნეობის ასაყვავებლად მხოლოდ ერთი რეფორმა არა კმარა, ამას რეფორმართა მთელი წყება სჭირია.

მინისტრმა აღნიშნა, რომ ეკონომიურ დაქვეითების მიზეზები შორეულ წარსულში იწყებაო, მაგრამ უფრო მახლობელი მიზეზებიცაა: სათათბირო მეოცე საუკუნეში მოიწვიეს და არა წარსულ საუკუნის მეოთხმოცე წლებში და მიყრუებულ სოფელთა უჩინარ საჭიროებაზე სახელმწიფოს არაფერი უზრუნია. როდესაც ერობისა და ქალაქების საჭიროებაზე აღძრავენ ხოლმე საკითხს, მაშინვე უკიჟინებენ,—ეგ არჩევნების წინასწარ ნიადაგის შესამზადებელი აგიტაცია არისო, ეს მართალი არაა: ასეთ მოთხოვნილებას იმ მოვალეობის ინტერესი გვათქმევინებს, რის გულისთვისაც ჩვენ სათათბიროში მოვსულვართ (მარცხნივ ტაშის ცემა). ჩემის ფიქრით, როდესაც თქვენს ამომრჩევლებს წარდგებით, იძულებული გახდებით უთხრათ:

„ჩვენ გვსურდა საყოველთაო სწავლა შემოგვეღო, ადგილობრივი სასამართლო მოგვეწყო, ერობის რეფორმა მოგვეხდინა, მაგრამ ვერც ერთი ვერ მოვახერხეთ, რადგანაც სახელმწიფო საბჭომ გზა არ მოგვცა; სამაგიეროდ ამურის გზა გავიყვანეთ, ფლოტის გასაძლიერებელ ხარჯებს წავუმატებთო. არ ინებებთ, შემოსავლისა დაგვარად თქვენს მიწებს გადასახადი შეაწეროთ?" თუ ასეთის პასუხით წარუდგებით თქვენს ამომრჩევლებს, განა თქვენი დანიშნულება შესრულებული გექნებათ, რისთვისაც მოსულხართ აქ?.. თქვენ მხოლოდ მთავრობის მომხრე გახდით და ისეთი ხარჯებს ადასტურებთ, რაც სახელმწიფოს კეთილდღეობისა და სახალხო მეურნეობის დამღუპველია. (ოპოზიცია ტაშს უკრავს).

ბერეზოვსკი მეორე. მემარჯვენენი ხარჯთ-აღრიცხვის განხილვაზე ხელს იბანენ, რადგან მათ მისი განხილვა ოთხის თვის წინად მოითხოვეს, თვითოეულ ხარჯთ-აღრიცხვის ცალკცალკე განხილვით. მესამე სათათბირო არა ცდილა, რომ ხარჯები დატაკ ხალხის მაგიერ შეძლებულთა კისერზე გადაეტანა... ერობასა და და ქალაქთა მიერ კულტურულ-განმანათლებელ საქმეზე დახარჯულ ფულის კონტროლს მთავრობა უნდა უწევდეს. ამასთანავე საჭიროა რუსეთის სამხედრო ძლიერების შექმნა, რადგან მეზობელი სახელმწიფონიც ჯარს აძლიერებენ. მემარჯვენეთ ღრმადა სწამთ რუსეთის სამეფისო ძლიერება და იმედოვნებენ, რომ ხალხის ამორჩეულნი მთელ ძალღონეს რუსეთის წყლულთა განკურნებას შეალევენ, რაც ომიანობამა და არეულობამ გაუჩინა. ჯერ თქვენი მოვალეობა გახსოვდეთ, მერე თქვენი უფლებანი (მარჯვნივ ტაშის ცემა).

ფინანსთა მინისტრი. ლვოვმა განაცხადა, რომ თქვენს ამომრჩევლებს ხელცარიელი წარუდგებით. არა თქვენს ამრჩევლებს რას ეტყვით, მაგრამ ერთში კი დარწმუნებული ვარ,—ყველას, ვისთვისაც ძვირფასია რუსეთის ღირსება, მისი ძლიერება და განვითარება, მისი სიმკვიდრე და აყვავება — დამშვიდებულის სინიდისით შეგიძლიანთ უთხრათ: ჩვიმოქმედეთ ყოველივე, რასაც სამშობლოს სიყვარული გვავალებდა. (ძლიერი ტაშის ცემა მარჯვნივ და ცენტრში). ლვოვი ტყუილად გირჩევდათ, ხალხის ქონება ხაზინის ხელიდან დაიფარეთო. ხალხის გამოსარჩლება და მფარველობა მტრის წინააღმდეგ უნდა იყოს მიმართული, ხაზინა კი არ შეიძლება ხალხის მტრად ჩავთვალოთ, რადგანაც ხალხის ქონება და მეურნეობა—ეს თქვენა ხართ, ხაზინა—ეს ხალხის დოვლათია და თქვენი მოვალეობაც ისაა, რომ ეს ხალხის დოვლათი საჭიროებისამებრ ანაწილოთ, სამართლიანად და სახელმწიფოს საჭიროებათა მიხედვით (მარჯვნივ ტაშის ცემა).

კაპუსტინი თავმჯდომარეობს. პეტროვი მესამე შრომის ჯგუფის სახელით აცხადებს, რომ მთლიანს ხარჯთ-აღრიცხვას მხარს არ დაუჭერენ.

თავმჯდომარე აცხადებს, რომ ხარჯთ-აღრიცხვაზე საერთო კამათი დასრულდა.

# რუსეთ-ჩინეთის უთანხმოება

„უტრო როს."-ას ვლადივოსტოკიდან დეპეშით ატყობინებენ: ამერიკელების მიერ წაქეზებული ჩინეთის შოვინისტები ითხოვენ, რომ ჩინეთმა დაუყოვნებლივ ომი გამოუცხადოს რუსეთს. მათ იაპონიის მოქმედებაც საეჭვოდ მიაჩნიათ.

იმავ გაზეთს პეკინიდან ატყობინებენ: ჩინეთის მთავრობა თანახმაა დაინიშნონ რუსეთ-ჩინეთის კომისარები, რომელთაც საბოლოოდ უნდა გადასწყვიტონ და გამოარკვიონ მდ. არგუნის საზღვრები.

„რეჩ."-ს ხარბინიდან სწერენ: რადგან ჩინელებმა ქალაქის არჩევნებში მონაწილეობის მიღებაზე უარი განაცხადეს, რუსეთის ადმინისტრაციას აზრადა აქვს ჩინელები ქალაქის საბჭოში სრულიად არ დაუშვას. ჩინელებს ჰსურთ არჩევნებს ხელი შეუშალონ. ამ ნიადაგზე შესაძლებელია სერიოზული კონფლიქტი მოხდეს.

ხარბინში ჩინეთის რაზმმა ჩინელი მუშები გაჰფანტა, რომელნიც რუს. კონცესიონერის შევჩენკოს ტყის სამრეწველოზე მუშაობდნენ და რკინის-გზის ლიანდაგი გააფუჭეს.

# სტუდენტების მოძრაობა

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან).

ხარკოვი. უნივერსიტეტის გამგეობამ დაადგინა სტიპენდიები მხოლოდ იმ სტუდენტებს მიეცეს, რომელთაც სურვილი განაცხადეს სწავლაში მონაწილეობის მიღებაზე და ამის დასამტკიცებლად საჭირო მოწმობები წარადგინეს.

პეტერბურგი. უნივერსიტეტს პოლიცია იცავს. დანიშნული იყო 150 ლექცია. შესდგა მხოლოდ 56 რომელთაც დაესწრო მცირე რიცხვი სტუდენტობისა. წესიერება არ დარღვეულა.

პეტერბურგი. პროფესორთა შუამდგომლობა შეიწყნარეს. ქალთა უმაღლეს კურსებიდან პოლიცია გაიყვანეს. რადგან მსმენელნი არ არიან ლექციებს არ კითხულობენ. ლექციები არ არის აგრეთვე ქალთა მედიკურ კურსებზე. პროფესორთა საბჭომ გამოაცხადა, თუ 25 თებერვალს სწავლა არ განახლდა, მსმენელთ სემესტრი არ ჩაეთვლებათ.

ტომსკი. ტეხნოლოგიურ ინსტიტუტს ცეცხლი გაუჩნდა. რამდენიმე ადგილას დაადგეს რაღაც სითხით სავსე შუშა, რომელიც გასკდომისას აფეთქდა. ბევრ ადგილას ცეცხლი დროზე ჩააქრეს; მხოლოდ ერთ ოთახს ცეცხლი ძლიერ მოედო და სახურავამდე მაიღწია. ამავე დროს უნივერსიტეტის შენობაშიაც ისროდენ ასაფეთქებელ ნივთიერებით სავსე შუშას. ცეცხლი მალე ჩააქრეს. ლექციები არ შემდგარა.

ტომსკი. ცეცხლი ტეხნოლოგიურ ინსტიტუტში საღამომდე გაგრძელდა. გამოძიება სწარმოებს.

როგორც უკვე მოხსენებული გვქონდა, გაზ. „რეჩ"-ის ცნობით პეტერბურგის ქალების უმაღლეს კურსების პროფესორთა საბჭომ დეპუტაცია ამოირჩია, რომელსაც დავალებული ჰქონდა სახალხო განათლების მინისტრისათვის ეთხოვნა კურსებიდან პოლიცია გაეყვანა.

დეპუტაცია მინისტრს 21 თებერვალს წარუდგა; რა პასუხი მისცა მინისტრმა,—გაზეთი არ იტყობინება.

იმავ გაზეთის ეკატერინოსლავის კორესპონდენტი იტყობინება: ეკატერინოსლავის სამთო სასწავლებლის ოთხი სტუდენტი დაატუსაღეს. ღამე სტუდენტების ბინებსა სჩხრეკავდნენ.

„რეჩ"-ის ცნობით ნოვო-ალექსანდრიაში ისევ გაფიცვაა. რვა სტუდენტი დაატუსაღეს.

„რუსკ. ვედ." იურევიდან ატყობინებენ; უნივერსიტეტის გამგეობამ ლიფლიანდიის გუბერნატორის წინადადების თანახმად, დაითხოვა უნივერსიტეტიდან ასისტენტი გრებენშჩიკოვი, რომელიც ამას წინად დაატუსაღეს. მეორე ასისტენტი ჰიგიენურ ინსტიტუტისა ლევინი ამ დღეებში დაატუსაღეს.

სულ დღევანდლამდე დატუსაღებულია 55 სტუდენტი.

კიევიდან „რ. ვ." სწერენ: ქალთა მედიკურ კურსების პროფესორთა საბჭომ გადასწყვიტა, დაარჩინოს მეორე წელიწადი იმავ კურსზე ის 1299 მსმენელი ქალი, რომელნიც გაფიცვას მიემხრნენ და ლექციებს არ ესწრობოდნენ.

# შავი ჭირი

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტო)

პეტერბურგი. ყირგიზის გუბერნატორის ცნობით ყირგიზის ველი შავი ჭირის მხრივ საშიში არ არის. გაზინჯეს 344 მიწური სახლი 2068 მცხოვრებით.

ხარბინი. ობსერვაციაში იყო 318 მკვიდრი, 24 ევროპიელი; განტაკებულები 2. საავადმყოფოში—5 ადგილობრივი მკვიდრი. გარდაიცვალა საავადმყოფოში 2. დარჩა: ობსერვაციაში 285 მკვიდრი, 18 ევროპიელი.

როგორც „უტრო როს."-ის კორესპონდენტი ოდესიდან იტყობინება, ამას წინად შავი ჭირის ნიშნებით ავადმყოფ მეეზოვეს ნამდვილად შავი ჭირი გამოსჩენია. ახლა-მახლო მცხოვრებთ ებრძანათ დროებით სახლები დასცალონ.

„რუსკ. სლ." ირკუტსკელ კორესპონდენტს ექიმ მალინოვსკისთან უსაუბრია შესახებ იმისა, შესაძლებელია შემდეგ მაინც ჰყავ მიღებულ ზომების შემწეობით იმედი გვქონოდეს, რომ შავი ჭირი მოისპოს და დასავლეთ რუსეთს არ ეწვიოს? მალინოვსკის უთქვამს: დაკვირვებამ და გამოცდილებამ დაგვიმტკიცა, რომ შავი ჭირი გაზაფხულობით ისპობა ხოლმე. თუ ამ წარსულ გამოკვლევებით და მაგალითებით ვიხელმძღვანელებთ, ადვილად შესაძლებელია, გაზაფხულზე ეპიდემიამ იკლოს. მაგრამ გადაჭრით პასუხის მიცემა შეუძლებელია რადგან ბუნებასთან ერთად, ჩვენ უფრო მეტი ენერგია და შრომა უნდა [illegible]ნოთ.

გაზ. „რეჩ" ვლადივოსტოკიდან ტელეგრაფით ატყობინებენ: ამურის მხარეში ადმინისტრაციამ გადასწყვიტა, ჩინელები რუსეთის სამფლობელოში არ შემოუშვან და უსაქმოდ დარჩენილი ჩინელებიც გაამძევონ რომელთა რიცხვი 10,000 აღემატება.

# დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

## საზღვარ-გარედ.

22 თებერვალი

პარიზი. სამინისტროს მომხრეთა უმრავლესობას შეადგენდა: 1 პროგრესისტი, 30 დამოუკიდებელი სოციალისტი, 44 მემარცხენე დემოკრატი, 93 მემარცხენე-რადიკალი, 141 სოციალისტ-რადიკალი. უმცირესობას: 18 მემარჯვენე, 26 აკსიონ-ლიბერალი, 10 დამოუკიდებელი, 57 პროგრესისტები, 1 მემარცხენე დემოკრატი, 1 სოციალისტ-რადიკალი.

ვიჩენცა. გარდაიცვალა მწერალი ანტონიო ფოგაცცარო.

პარიზი. დეპუტატთა პალატამ მოიწონა კანონ-პროექტი, რომელიც ნებას აძლევს მთავრობას ააშენოს ორი ნაღმოსანი. ვადა დანიშნულია 3 წელიწადი.

ლისსაბონი. მთავრობამ მოწერილობა გამოუგზავნა პოლიციას შეატყობინოს ყველა მგზავრების ვინაობა, ვინც ბრაზილიიდან და ჩრდილოეთ რუსეთიდან მოდის. რადგან მიღებულია დაწვრილებითი ცნობები რიო-დე-ჟანეიროს შეთქმულობის შესახებ. გუბერნატორი სთხოვს მთავრობას გადაასახლოს ადგილობრივი ეპისკოპოსი, რომელიც მღვდლებსა და ხალხს აჯანყებს.

პარიზი. პალატის საღამოს სხდომაზედ დელკასსემ განაცხადა, რომ ყოველ ღონის ძიებას იხმარს რომ რეფორმები განხორციელებულ იქმნას. ეს რეფორმები მდგომარეობს იმაში, რომ შეკეთდეს არსენალები და ზოგიერთი გაუქმდეს.

სტამბოლი. დეპუტატთა პალატამ ბულგარეთისა და ოსმალეთის დროებითი სავაჭრო ხელ-შეკრულება 9 თვის ვადით მიიღო.

თეირანი. სეპეხდარმა სამხედრო მინისტრის პორტფელი ჩაიბარა. მეჯლისის თავმჯდომარე ნამყოფმა მუსშა შარუდ-დოულე — შინაგან საქმეთა მინისტრისა, ეხლანდელმა თავმჯდომარემ მუსტაზუდ-დოულემ —ფინანსთა მინისტრისა, მუხტაშიმუსალტანემ — გარეშე საქმეთა მინისტრისა.

პარიზი. ავიატორი მენო, რომელიც 9 ს. და 12 წ. მგზავრით აფრინდა, პიუიდე-დომას მთის მწვერვალზე დაეშვა 2 ს. 20 წუთ. და ჯილდოთ მიიღო 10,000 ფრანკი.

ტოკიო. იოკაგამის გემთა სააშენებლო ქარხანაში მუშათა შეტაკება მოხდა. პოლიცია ჩაერია.

სამუდამოდ მიატოვა იაპონია ცნობილმა იაპონოლოგმა პროფესორ ჩემბერლენმა, რომელიც 40 წელია რაც ტოკიოში სცხოვრობს.

თავრიზი. ინგლისის ცნობილ ფირმის წარმომადგენელი ხალიჩების სასყიდლად მოვიდა. ადგილობრივი ვაჭრები სცდილობდნენ ბოიკოტი გამოეცხადებინათ ფირმისათვის, მაგრამ ვერ მოახერხეს.

პეკინი. უკანასკნელ აღწერით პეკინის მცხოვრებთ რაოდენობას შეადგენს: 508,019 მამა-კაცი, და 256,638 ქალი.

## რ უ ს ე თ ი

პეტერბურგი. სავაჭრო მინისტრმა წარუდგინა მინისტრთა საბჭოს მოხსენება დონის პოლიტეხნიკუმში აგრონომიულ და ნავთის მრეწველობის კათედრის დაარსებაზე.

ერთი კვირის განმავლობაში მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ კომიტეტმა 27,130 მან. შეაგროვა. სულ დღევანდლამდე 248,359 მან. შეგროვდა.

იალტა. გაზაფხულის თბილი დღეები დაიჭირა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**კიევი.** ბოროტ-განზრახველნი ლაზევნიკი და ანდრეევი, რომელთაც გლეხის ოჯახი ამოსწყვიტეს, ვასილკოვში შეიპყრეს, ბოროტ-განმზრახველთ პოლიციას წინააღმდეგობა გაუწიეს. ანდრეევი მოჰკლეს, ლაზევნიკი დაჰმორჩილდა.

**მოსკოვი** სამართებლით ყელი გამოიჭრა მოსკოვის საიმპერატორო თეატრების კანტორის გამგის თანაშემწემ რიდაევსკიმ.

**სევასტოპოლი.** რუდნევი ფირმანით სიმფეროპოლიდან დაბრუნდა.

**გროზნი.** კროზნის სტანიცის ყაზახთა სეკრეტარმა გაჰფანტა ყაჩაღთა ბრბო, რომელიც სადგურზე თავ-დასხმას აპირებდნენ. სროლის დროს მოკვდა ერთი.

**ვარშავა.** იერუსალიმის ხეივანში ოთხმა ბოროტ-განმზრახველმა მოჰკლა ორი პოლიციელი.

**დამასკი.** გუშინ ჩამოახრჩვეს სამი დრუზი. აპირობენ კიდევ სხვების ჩამოხრჩობასაც.

# ახალი ამბები

**ტფილისი**

✦ 21 თებერვალს გუბერნიის **სანიტარულ-აღმასრულებელ კომისიის** კრება მოჰხდა ხოლერისა და შავის ჭირის წინააღმდეგ ზომების შესამუშავებლად. კრებამ განიხილა სავალდებულო სანიტარულ წესთა პროექტი და მისი საბოლოოდ შემუშავება საგანგებო კომისიას მიანდო.

✦ **მცირე-წლოვან დამნაშავეთა გამასწორებელ ახალშენთა საზოგადოებას 1910** წელს შემოსავალი ჰქონდა **8,234** მან. **18** კაპ., **ხარჯი—3,301** მან. **67** კაპ. ვარაუდით საზოგადოებას მიმდინარე წელს შემოსავალი **ექნება 16,288** მან. **51** კაპ., **ხარჯი—6,694** მან. **24** კაპ.

✦ ქალაქის საბჭოს სატრამვაიო კომისიამ **21** თებერვალს კიდევ **9,152 მან. დაუჯარიმა** ტრამვაის დირექცია.

✦ სახალხო სკოლების დირექტორმა წინადადება მისცა ქალაქის გამგეობას, ქალაქის სკოლების ყველა მოსწავლენი **დაითხოვოს ხაზიარებლად** დიდ მარხვის პირველ კვირას.

✦ **თავისუფალი სტიპენდია** თამამშევის სახელობისა (**360** მან. წელიწადში) ქალაქის გამგეობამ პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტს ნ. პივოვაროვს დაუნიშნა. მთხოვნელი **20** კაცი იყო.

✦ **ქალაქის საბჭოს სასკოლო კომისიამ** დაადგინა, გლეხთა განთავისუფლებიდან **50** წლის შესრულების აღსანიშნავად **19** თებერვლის სახელობის სკოლები დაერქვას: ვერის პირველს და მეორე პირველ დაწყებით სკოლას და ავლაბრის **1** პირველ დაწყებით სკოლას.

✦ **22** თებერვალს ქალაქის გამგეობამ განიხილა პროექტი კახეთის ქუჩაზე (ავლაბარი) ბაღის გაშენების შესახებ და მოიწონა. ამ პროექტით ბაღი უნდა გაშენდეს **250** ოთხკუთხ საჟენზე.

✦ **22** თებერვალს კავკასიის ოლქის სამხედრო სასამართლო შეუდგა სოფელ მარტყოფის მცხოვრებ ძამაშვილის საქმის გარჩევას, მას ბრალდება **1909** წლის **25** ივნისს პეტრე-პავლეს ქუჩაზე ტფილისის **მაძებარ პოლიციის აგენტის პეტროს ტერ ნაკანოვის მოკვლა.**

✦ მიწად მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა ქუთაისის სამმართველომ უკვე დაამტკიცა პროექტი და **ხარჯთ-აღრიცხვა ოზურგეთში ჩაის ქარხნის მოწყობისა.**

✦ **22** თებერვალს კახეთიდან ტფილისში დაბრუნდნენ თავ. დ. ე. ჩოლოყაშვილი და კახეთის რკინის გზის საზოგადოების გამგეობის წევრი თავ. გ. პ. თუმანიშვილი, რომელნიც წასული იყვნენ **კახეთის რკინის გზის გაყვანის საქმის გამო.** ამ ქამად მომავალ გზის გამოსაკვლევად სამი ჯგუფი მუშაობს კახეთში ინჟენერ ვ. პ. დვორნიჩენკოს მეთაურობით. თავადნი ჩოლოყაშვილი და თუმანიშვილი ყოფილან წივრის ხეობასა, ალაზნისა, პრასიანისა და ჩალაუბნის მხარეს, თელავსა, სიღნაღსა და სამხრეთ ქიზიყში. ყველგან მცხოვრებთათვის გამოუკითხავთ მათი აზრი რკინის გზის შესახებ. ინჟენერ დვორნიჩენკოს ტფილისში დაბრუნების შემდეგ ყველა მოგროვილი მასალა ტფილისში შემუშავებული იქმნება და დასამტკიცებლად გზათა მინისტრს გაეგზავნება. იმედი აქვთ, რომ გზა კახეთის მრავალს სოფელს დაუახლოვდება და გზის ხარჯიც იმაზე ნაკლები იქმნება, რამდენიც ნავარაუდევი იყო.

✦ გუბერნატორმა თითო თუმნით დააჯარიმა სტამბის მეპატრონენი: თამარა თავართქილაძე და მიხეილ გაჩეჩილაძე სასტამბო წესთა დარღვევისათვის.

✦ **ტრამვაის დირექტორის თანაშემწის გისსის მოკვლის შესახებ პოლიციის ცნობა გადმოგვცემს:** მეთორმეტე უბნის პოლიციამ გისსის მოკვლის საქმის გამოძიებით შეიპყრო დომენტი გიორგის ძე აბულაძე, რომელიც ცნობილია, როგორც მონაწილე სხვა და სხვა ტერორისტულ აქტისა. საგანგებო საქმეთა გამომძიებლის განკარგულებით დაპატიმრებული ციხეში გაჰგზავნეს.

✦ **21** თებერვალს ტფილისში შეიპყრეს გორის მაზრის სოფელ ბერმუეთის მცხოვრები ივანე ანდრიას ძე კრესტიაშვილი, რომელიც ადმინისტრატიულის წესით **იყო გადასახლებული** და თავის ნებით დაბრუნდა.

✦ ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლის მოვალეობის აღმასრულებელმა ტფ. ქალაქის **საუნივერსიტეტო კომისიას** აცნობა, ქუთაისის თავად-აზნაურობას არ შეუძლიან ახლად განთავისუფლებული სტიპენდიები კავკასიის მომავალ უნივერსიტეტში გადმოიტანოს, რადგან ეს სტიპენდიები სულ უნდა გაუქმდეს და ფული ქუთაისის ქართულ გიმნაზიის ახალ შენობას უნდა მოხმარდესო.

✦ საბოლოოდ გამოირკვა საკითხი **ვაკეში ქალაქის წყალსადენის** მილის გაყვანის შესახებ. ამ **საქმეზე სულ დაიხარჯება 6,000** მანეთი. ამაში **3,000** მანეთს ქალაქის თვითმმართველობა გაიღებს, **1.000** მან. სასულიერო სემინარია და **2,000** მანეთს ვაკეს მემამულენი და სახლის მეპატრონენი.

✦ გამოვიდა ჟურნალ **„ცხოვრება და ხელოვნების“** მორიგი (**11**) ნომერი.

✦ ქართული გაზეთი „სინათლე“ გუშინ არ გამოვიდა.

✦ ცნობილმა მდიდარმა ა. ი. მანთაშევმა სომხურ დრამატიულ საზოგადოებას **ასი თუმანი შესწირა** იმ ზარალის დასაფარავად, რომელიც საზოგადოებას წარსულ სათეატრო სეზონში მოუვიდა. თუ მკითხველთ ახსოვთ, მანთაშევი ამ ფულს გარდა საზოგადოებას ყოველ-წლივ ხუთას თუმანს აძლევს.

✦ დღეს ქართველთა შორის **წერა-კითხვის** გამავრცელებელ საზოგადოების მთავარ გამგეობის წევრთა მორიგი კრება მოჰხდება მიმდინარე საკითხების განსახილველად.

✦ **22** თებერვალს ტფილისში **5** უპასპორტო შეიპყრეს.

✦ **ტფილისში უგზოდ დაიკარგა** კონსტანტინე იაგორის ძე კორინკინი, **13** წლისა.

# ჟურნალისტის დღიური

**6.**

**კიდევ ლექსიკონზე.**

ქართულ-რუსულ ლექსიკონის შესახებ კვლავ ლაპარაკობენ გაზეთებში. გუშინ ჩვენს მკითხველებს გავაცანით აზრი ბ-ნ დ. გ. კარიჭაშვილისა, რომელიც არც ერთს უკვე გამოთქმულ აზრს არ ემხრობა. ერთ-ერთს ჩვენს წერილში მოხსენებული გვქონდა, რომ გამგეობას ლექსიკონის შედგენა დაუვალებია ბ-ნ კარიჭაშვილისთვის. ამასთანავე გვინდოდა გაგვეგო მთელმა გამგეობამ დაავალა ბ-ნ კარიჭაშვილს ლექსიკონის შედგენა, თუ ეს იყო კერძო წინადადება გამგეობის ერთ ერთი რომელიმე წევრისა. ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნდა ამის გაგება, რადგანაც საკითხის ყოველისმხრით განხილვამდე, ასეთი პასუხისაგებ საქმის დავალება ჩვენ აჩქარებულად მიგვაჩნია. ბ-ნი კარიჭაშვილი ჩვენს წინადადებაზე გარკვეულს პასუხს არ იძლევა; არაფერს ამბობს გადაჭრით იმაზე, და ვალებული აქვს თუ არა მას გამგეობის მიერ. ბ-ნი კარიჭაშვილი გვატყობინებს, განსაკუთრებულმა კომისიამ, რომელიც თხუთმეტი კაცისაგან შესდგებოდა, გამგეობის აზრი მოიწონა, და კიდეც გადასწყდა საზოგადო კრებას წარედგინოს ამის შესახებ დასაბუთებული აზრიო.

თუ ეს ასეა, საკითხი ჯერ გადაწყვეტილი არა ყოფილა, და ამიტომ გამგეობა ვერ მიანდობდა ბ-ნ კარიჭაშვილს ლექსიკონის შედგენას; ასეთი დასკვნა შეგვიძლიან გამოვიყვანოთ ბ-ნ კარიჭაშვილის წერილიდან.

რახან ეს საკითხი თვით გამგეობასაც ჯერ საბოლოვოდ გადაწყვეტილი არა ჰქონია, ჩვენს თავს ნებას მივსცემთ და ორიოდე მოსაზრებას გამოვსთქვამთ მომავალ ლექსიკონის შესახებ. მართალია ჩუბინაშვილის ლექსიკონი დაძველებულია. ისიც მართალია, რომ ორი ლექსიკონის შედგენა, ერთი ქართულისა და მეორე ქართულ-რუსულ-ფრანგულისა ძვირად დაჯდება, მაგრამ ეს კიდევ იმას არა ნიშნავს, რომ „სახალხო გაზეთის“ მეთაურში გამოთქმული აზრი ლექსიკონის შედგენის შესახებ არსებითად შემცდარია. მე პირადად მაინცა და მაინც აუცილებელ საჭიროებად არ მიმაჩნია, რომ ჯერ ცალკე ქართული ლექსიკონი გამოიცეს და მერე ქართულ-რუსულ-ფრანგული, მაგრამ ქართულ სალექსიკონო მასალის შედგენა ახალის რედაქციით მაინც საჭიროდ მიგვაჩნია. აუარებელი სიტყვა იკარგება, ბევრი არსებულ სიტყვის მნიშვნელობა აღარ გვესმის. ამისათვის საჭიროა უპირველეს ყოვლისა სრული ქართული ლექსიკონის შედგენა, შემდეგ, რასაკვირველია, შეიძლება რუსულ-ფრანგული განმარტებაც მიეწეროს და ამ სახით გამოიცეს. ყოველ შემთხვევაში ჩვენი ყურადღების ცენტრად ქართულ სალექსიკონო მასალის მოკრეფა უნდა შეადგენდეს.

მართალია, ამ შემთხვევაში ლექსიკონის გამოცემა ცოტა დაგვიანდება, უფრო გართულებული ორგანიზაციის შექმნა დაგვჭირდება, მაგრამ ამან არ უნდა შეგვაშინოს. სიჩქარე ამისთანა შემთხვევაში საჭირო არ არის. ქართველი საზოგადოება ღარიბია, ამისთანა დიდი წიგნების გამოცემა ხშირად ვერ შეუძლიან; ამიტომ მეტი სიფრთხილითა და სიდინჯითაც უნდა მოვეკიდოთ საქმეს...

**შინაური.**

## გლეხთა განთავისუფლების იუბილეი პროვინციაში

**გურია.** როგორც საზოგადოდ რუსეთისა და საქართველოს ყველა ადგილებში, ისე გურიაშიაც გადაიხადეს გლეხთა ბატონ-ყმობისაგან განთავისუფლების ორმოცდა ათი წლის იუბილეი. სოფლის ყველა სასწავლებლებმა იდღესასწაულა ეს დღე. დაბა ლანჩხუთში 18 თებერვალს 11 საათზე იქმნა კადახდილი პანაშვიდი ალექსანდრე მეორის სულის მოსახსენებლად, რის შემდეგაც მამა ეპიფანე ჩხაიძემ წარმოსთქვა შესაფერი სიტყვა. 19 თებერვალს გადახდილ იქმნა წირვა და პარაკლისი; შემდეგ კი გაიმართა „ლიტერატურული დილა“ რიგ-რიგათ: ჯერ მოწაფეებისათვის და მერე საჯაროდ, ერთ და იმავ პროგრამით. აქაც დაწყებისას მამა ე. ჩხაიძემ აუხსნა მოსწავლეებს დღესასწაულის მნიშვნელობა. მანვე წარმოსთქვა სიტყვა და მოკლედ განუმარტა დამსწრე საზოგადოებას გლეხთა განთავისუფლების მნიშვნელობა. შემდეგ ამისა, მოწაფეებმა დაიწყეს ლექსების კითხვა. სხვათა შორის ქართულს ენაზე წაიკითხეს ილია ჭავჭავაძის ლექსები: „მესმის-მესმის“, „ყმა და ბატონი“, „გლეხი პასუხი“ და სხვა. განსაკუთრებით მეტად სასიამოვნოდ და გრძნობიერად იყო წაკითხული გაცხეთიდ ქადამნებით და დაფლეთილ ხოხით მორთულ 8—9 წლის მოწაფისაგან „გლეხის პასუხი“. აგრეთვე შესრულებულ იქმნა სცენები ილ. ჭავჭავაძის „კაცია-ადამიანიდან“ და „უბედის ცხოვრებიდან“.

ხალხი ბევრი დაესწრო. **ან—ტარი.**

**სოფ. ბანოჯა** (ქუთაისის მაზრა) 18 თებერვალს სოფ. ბანოჯაში იდღესასწაულეს გლეხთა განთავისუფლების 50 წლის იუბილეი.

მეორე დღეს, 19 თებერვალს, გაიმართა საიუბილეო დღესასწაული. სკოლის გამგე მასწავლებელმა ი. დათიაშვილმა წაიკითხა რეფერატი ბატონ-ყმობის შესახებ, რომელშიაც დაგვისურათა ბატონ ყმობა, მისი განვითარება და მისი მოსპობა. შემდეგ წაიკითხა სიტყვა სამღვთო სჯულის მასწავლებელმა ი. კაფრინდაშვილმა. შემდეგ დაიწყო სალიტერატურო დილა ამ სკოლის ბავშვებისაგან. წაკითხულ იქმნა ზეპირად მრავალი ლექსები ქართულ ენაზე, კითხულობდნენ ბავშვები ცოცხლად და გრძნობიერად. განსაკუთრებით მოეწონა ხალხს ლექსები, რომელშიაც გამოიხატებოდა გლეხის მდგომარეობა.

**დამსწრე.**

**ამიერ კავკასიის წვრილ კრედიტის მოღვაწეთა კრებაზე.**

23 თებერვალს, ნაშუადღევს 2 საათზე, ქართულ თეატრში მრა-

---

დღევანდელ ნომერთან პროვინციის ხელის-მომწერთ ეგზავნებათ „სარჩევი“ 1909—1010 წლების „მოსავალ“-ში დაბეჭდილ წერილებისა“.

# ხელის-მომწერთა საყურადღებოდ:

**მიღებულ წესისამებრ ყოველ თვის დამდეგს, ვისაც ხვედრი ფული არა აქვს შემოტანილი, გაზეთის გზავნა ესპობათ.**

**მხოლოდ 1 მარტამდე მიიღება ხელის მოწერა არჩილ ჯორჯაძის ნაწერებზე:**

## „ეროვნულ პრობლემის გარშემო“.

(**პუბლიცისტური ეტიუდები; ნაწილი პირველი**)

ამ წიგნში შევა უკანასკნელ წლებში სხვა და სხვა გაზეთებში დასტამბული პუბლიცისტიური წერილები, წინასიტყვაობით. წიგნი დაახლოვებით იქნება 250 გვერდი და ამ თავითვე ხელის-მომწერთათვის ეღირება ორი აბაზი (40 კ.). გასასყიდად გამოსვლისას ფასი მომატებული იქნება.

ხელის-მოწერა მიიღება **ტფილისში:** „სახალხო გაზეთი“-ს რედაქციაში და წ.-კ. საზოგადოების მაღაზიაში. **ქუთაისში:** მთავრიშვილისა და ამხ. წიგნის მაღაზიაში. **თელავში:** ვანო პაატაშვილთან.

დანარჩენ ადგილებიდან ხელის-მომწერლებმა ფოსტის ხარჯად 10 კაპ. უნდა გამოგზავნონ. (9—6)

---

# თავად-აზნაურობა და მთავრობა გლეხკაცობის განთავისუფლების საქმეში მე-60 წ. წ.

როდესაც „სახალხო გაზეთის“ ფურცლებზე გაკვრით შევეხეთ საქართველოს სოციალ-ეკონომიურ მდგომარეობას ბატონ-ყმობის მოსპობამდე, მკითხველი საზოგადოება დაინახავდა რა საშინელი, შემაძრწუნებელი და აუტანელი იყო ბატონ-ყმობა გლეხ-კაცობისათვის. მკითხველები დაინახავდნენ აგრეთვე, თუ, ამ შემაძრწუნებელ გარემოებით რა რიგ დაეცა საქართველოს მწარმოებელი ძალა, გაალმაცდა არსებულ წეს-წყობილების სოციალური და ეკონომიური შეუსაბამობა და რთულ კრიტიკულ მდგომარეობის წიაღიდან ის დიდებული აქტი წარმოიშვა, რომელსაც შარვანდედის სხივით დიდებული 19 თებერვალი შემოსტყმია.

ბატონ-ყმობის ფაქტიურად და ფორმალურ-იურიდიული გახრწნა პირველ ყოვლისა თვით ბატონყმურ ძალების გახრწნას მოასწავებდა. მდგომარეობა პირდაპირ ხსნიდა ძველ ძებატონეთ გაკოტრებას და რადგანაც მთელი კომპლექსი სოციალურ და ეკონომიურ აუცილებლობათა გარემოცავდნენ ახალ წესწყობილების წარმოშობა განვითარების ძველ ბატონ-ყმობის დანგრევის ნიადაგზე, ამიტომ სრულებით ბუნებრივად უნდა ჩაითვალოს თუ ბატონ-ყმობის მესვეური—მემამულე თავად აზნაურობა—მთელ თავის გამოცლილ ილაჯს მოიკრებდა, აღსასრულის მოლოდინში გაფითრებული შემოიკრებოდა აბობოქრებულ ცხოვრების ზედაპირზე და თავის მძლავრს, თუ სუსტ ყიჟინა-მოთხოვნილებით შეეცდებოდა თავისი უპირატესობანი, რამდენადაც შესაძლებელი იქნებოდა, შეენარჩუნებინა, ბატონ-ყმობის მოსპობის ზომები ვიწრო წოდებრივ-კლასობრივ ინტერესებით ისე შეელაუფარგლა, რომ გლეხ-კაცობა ეკონომიურად ისეთ მდგომარეობაში ჩაეყენებია, რომ ხალხის ფართე მასსა—ყმები—კვლავ დამოკიდებელ პირობებში ჩავარდნილიყვნენ მემამულე თავად-აზნაურებთან.

დიდ, თავად-აზნაურობა პირველ-ყოვლისა ძრწოდა და ჰკანკალებდა რეფორმების მოახლოვებით. პეტერბურგელი იუნკრები, შუალოვ-გაგარინები, ქართველი ჯანდიერნი თუ ამირაჯიბ-ამილახვარნი სრულებით ვერ ინელებენ, ვერ ის მენდნენ, თუ რა რიგ უნდა დანგრეულიყო ის ბატონ-ყმური წესწყობილება, რომელსაც უზენაესი ღმერთი ჰმფარველობდა, რომელსაც აღმერთებდნენ დიდებულნი მეფეხელმწიფენი და ძლიერნი ამა ქვეყნისანი. როგორ? ყმა, „ჯალაბი“,—გლეხი თავისუფალ მოქალაქედ უნდა გამხდარიყო და საკუთარ ინტერესებით აღჭურვილი მის უდიდებულესობას თუ ბრწყინვალებას გვერდში ამოსდგომოდა—როგორც **ადამიანი?** ეს ხომ სიკვდილი, საშინელი რევოლუცია იყო თავად აზნაურობისათვის? ამიტომ სრულიად სამართლიანად ამბობდა ერთი თავად-აზნაურობის მესვეურთაგანი ბ. დიმიტრი ყიფიანი, რომ... „ჩვენ (თავად-აზნაურები) შეძრწუნებული ვიყავით იმ ამბით, რომ ბატონ-ყმობის უფლება ინგრევაო...“*) მაგრამ, ბატონ-ყმობის განადგურება ცხოვრების აუცილებელი და გარდუვალი მოთხოვნილება იყო, ფეოდალურ ატრიბუტების დარღვევა თვით ბიუროკრატიულ მთავრობის არსებობისთვის იყო სავალდებულო, რადგან ჯერ თვით ალექსანდრე II აღიარებდა, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში ცხოვრების წიაღიდან ამოვარდება ისეთი ძლიერი ქარიშხალი, რომელიც წალეკავდა მთელ აწმყოს წესებს[2]); ამიტომ ბიუროკრატია იძულებული იყო სინამდვილის წინაშე ქედი მოეხარა და რადგან ჩვენს ბეცს თავად-აზნაურობას ვერ წარმოედგინა თუ მათი მფარველი ალექსანდრე II მათ ყმებს ჩამოაცლიდა, მის უდიდებულესობის ფეხრთა ქვეშ შეკითხვის შეტანა გაბედეს: მართლა ეხება რუსეთის ბატონ-ყმობის მოსპობის 19 თებერვლის მანიფესტი საქართველოს ცხოვრების და საქართველოს ბატონყმობისა?

მართალია, რუსეთის ყველა ხელმწიფეები თავიანთ ფარულ ინტერესებისათვის მფარველობდნენ და ეხმარებოდენ თავად-აზნაურებს, მაგრამ მესამოცე წ. წ. საქართველოს სოციალური და ეკონომიური ცხოვრება იმდენად გაიხრწნა, თვით ბატონ ყმობა ისე აიწეწ-დაიწეწა, რომ მის ვაღავდება აუცილებლობა იყო. ამიტომ თავად-აზნაურობის შეკითხვასაც მყისვე გაეცა პასუხი საზღვარგარეთიდან, ქალაქ ნიცციდან 1864 წ. ოქტომბრის უქაზით, რომლითაც ბატონ-ყმობა საქართველოშიაც უნდა გაუქმებულიყო.

ამნაირად, **1864** წლის ოქტომბრის აქტით, ბატონ-ყმობა საქართველოშიც მოისპო.

თავად-აზნაურობაც ანგარიშს უწევს ამ სინამდვილეს, ის ირკვევა მდგომარეობის სირთულიდან, გამოდის ცხოვრების ზედაპირზე, იხედება იქით-აქეთ და როგორც წერილის თავში აღვნიშნეთ, მიილტვის თავისი უპირატესობანი შეირჩინოს, გერობას წაართვას ყოველგვარი უფლება, რის წართმევაც კი შესაძლებელი იქნება.

მაგრამ რანაირად? რა პოლიტიკით უნდა შეესხა ხორცი ამ დუშმან მიზნებისათვის ჩვენს კეთილშობილ თავად-აზნაურობას?

როგორც იცით, ბატონ-ყმობის მოსპობა ფრიად რთული და ძნელი საქმე იყო თავისთავად, მის სათანადო გადასაწყვეტად აუცილებლად საჭირო იყო მთელი ინტელექტუალურ ძალების ამოძრავება, მაგრამ ამას რუსეთის მთავრობა ნაკლებ ყურადღებას აქცევდა. პირველ ყოვლისა ის ცდილობდა ერთი ხელის დაკვრით ორი საქმე გაეკეთებია: 1) მწარმოებელ ძალებისათვის სამოქმედო ასპარეზი რამდენათმე გაეშალა და 2) მწარმოებელ ძალის ინტერესების გაფართოვებით თავად-აზნაურობის ინტერესები ნაკლებად შეევიწროვებინა. ამისთვის მთავრობამ ყმების განთავისუფლების საქმე ივით თავად-აზნაურობას მიანდო, თავად-აზნაურობასთან დაიწყო მუშაობა. მთავრობა იწვევდა განსასჯელად თავად-აზნაურობას, თავად-აზნაურების წარმომადგენლებს სამაზრო და საგუბერნიო კრებაზე და იმუშავებდნენ იმ წესს, იმ პროგრამას, რომლის მიხედვით უნდა განხორციელებულიყო თებერვლისა და ოქტომბრის აქტები.

რადგან მთავრობამ ყმების განთავისუფლება ბატონებს მიანდო, თავად-აზნაურობაც სასიამოვნო სიხარულს მიეცა. იმათ ეხლა ბატონ-ყმობის მოსპობა აღარ აშინებდა და ბ. დ. ყიფიანი კიდეც აღიარებს, რომ ბატონ-ყმობის მომსპობი მანიფესტი ჩვენზე გადმოცემულია, ჩვენთვის ნაბოძი ხელმწიფის წყალობაა, რომელიც ყოველგვარ შიშს გვიქარწყლებს, თითქო თავად-აზნაურობა ამ რეფორმით რასმეს დაჰკარგავსო[1]). დიაღ, თავად-აზნაურობას აღარ შეეძლო დიდი წინააღმდეგი გახდომოდა რუსეთის მთავრობისა, კავკასიის მთავარ-მართებელ გენერალ ბარიატინსკისა, თვით ხელმწიფე ალექსანდრე II-ს სიტყვებს ერთიანად შეეძლო დაერწმუნებია ისინი რომ მათ არაფერი საფრთხე აღარ

---

[1]) იხ. Семенъ Эсадзе; „Историческая записка объ управленіи Кавказомъ. ტ. 1. გვ. 310.

[2] იხ. Проф. И. Иванюковъ: „Паденіе крѣпостнаго права въ Россіи“ 1903 г. С.-Петербургъ.

[1]) С. Эсадзе „Историческая записка“ გვ. 344.

ვილმა ხალხმა მოიყარა თავი. აქ იყვნენ როგორც კავკასიის ადმინისტრაციისა და თავად-აზნაურების უმაღლესი წარმომადგენელნი, ისე ამიერ კავკასიის სხვა და სხვა ადგილის დეპუტატები. 2 საათზე თეატრის ფოიეში გადახდილ იქმნა პარაკლისი და შემდეგ კრება ოფიციალურად გახსნა ტფილისის გუბერნატორმა ბ-ნმა ლოზინო-ლოზინსკიმ. მიულოცა დამსწრეთ ამ კრების მოწვევა ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენელმა ბ-ნმა დეუნკოვსკიმაც.

ამის შემდეგ თავმჯდომარეობას შეუდგა სახელმწიფო ბანკის ტფილისის კანტორის გამგე ბ-ნი ბეზობრაზოვი, რომელმაც წაიკითხა ნამესტნიკის მიერ გამოგზავნილი მისალოცი დეპეშა. კრებამ დაადგინა, ნამესტნიკს საპასუხო ტელეგრამა გაუგზავნოს.

თავმჯდომარის ამხანაგებად არჩეულ იქმნენ: სახელმწიფო ქონებათა გამგე ზელენინი და ბ-ნნი: შეხმეტიევი, პავლოვი და შუსტაკოვი.

თავმჯდომარემ კრებას წინადადება მისცა, რადგან დრო ძალიან ცოტა გვაქვს (23 თებერვლიდან 1 მარტამდე) და სამუშაო ბევრი, კრებები დღეში ორჯერ დავნიშნოთო: დილის 10 საათზე სამ საათამდე და საღამოთი 7 საათზეო.

**ი. ქუთათელაძემ** დამსწრეთ ურჩია, კრება რამდენიმე სექციად დაიყოს და სამუშაო მათ შორის განაწილდესო.

კრება რაიმე გადაწყვეტილს აზრს ვერ დაადგა და მუშაობის წეს რიგის შემუშავება საღამოს 7 საათისთვის გადასდო.

## „ნაციონალიზმი და მისი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა"

**(ლექცია პროფ. ვ. მ. გრიბოვსკისა დონის-როსტოვში).**

დონის-როსტოვში არსებულ რუს-ნაციონალისტთა ორგანიზაციის თაოსნობით ნოქართა საკრებულოს დიდს დარბაზში 18 თებერვალს გაიმართა ლექცია პროფ. ვ. მ. გრიბოვსკისა: „ნაციონალიზმი და მისი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა". საჭიროდ მიგვაჩნია „სახ. გაზ." მკითხველთ ლექციის შინაარსი გავაცნოთ. ლექტორი მემარჯვენე პროფესორია, ნაციონალისტთა პარტიაც მემარჯვენე პარტიაა და სახელმწიფო სათათბიროს „მუშაობაში" მონაწილეობას იღებს. მაშ მეტი არ იქნება, თუ ჩვენს საზოგადოებასაც კარგად ეცოდინება მემარჯვენეთა და საზოგადოდ რუსის ნაციონალისტთა სულისკვეთება.

ლექციის თავშივე ლექტორმა განაცხადა, საგანს თეორიულის მხრით შევეხებიო, მაგრამ როგორც ქვემოდაც დაინახავს მკითხველი, ეს დაპირება არ გაამართლა პრ. გრიბოვსკიმ და საგნის პრაქტიკულ მხარესაც შეეხო.

სანამ ლექციის საგნის გარკვევას შეუდგებოდა, გრიბოვსკიმ განაცხა, რომ გასულს წელს გამოვიდა ვეებერთელა კრებული: „ეროვნულ მოძრაობის ფორმები"—თითქმის 2 ათასამდე გვერდი. ამ კრებულში ვრცლადაა ლაპარაკი პოლონელებისა, სომხებისა, ქართველებისა, ყირღიზებისა და სხვათა ეროვნულს მოძრაობაზე და რუსის ხალხზე, მის ეროვნულ ინტერესებზე კი არაფერიო. მაგრამ ეს ალბად იმიტომაო, სთქვა ირონიულად ლექტორმა, რომ რუსებს, როგორც მასპინძლებს არ შეშვენით თავის გულუხვობა ანგარიშში ჩაუგდონ ვისმე... მაგრამ ჯერედ ნორჩი რუსის ხალხის ეროვნული მოძრაობა საგულისხმიერო მოვლენაა. ყოველის მხრიდან დაგვესხნენ სხვა ტომის ერები, და ჩვენც უკიდურეს გაჭირვების ჟამს შევიგნით ჩვენი ინტერესებიო... შემდეგ შეეხო საგანს.

დიდი ხანი არ არის, რაც ერის მეცნიერულად შესწავლას შეუდგნენ. მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში დიდი ეროვნული მოძრაობა იყო—გერმანელებისა, ბერძნებისა, იტალიელებისა და სხვ. ამ მოძრაობამ დაჰბადა ინტერესი ერის მეცნიერულად შესწავლისა. მეცნიერება სამ სხვა-და-სხვა თვალსაზრისით იკვლევს ერს: ისტორიულით, ანთროპოლოგიურით (საბუნების-მეტყველო—მეცნიერულითა) და ფსიხოლოგიურითა. ლექტორმა გაარკვია თვითეული ეს თვალსაზრისი, დაასახელა ის მეცნიერნი, რომელნიც ამა თუ იმ თვალსაზრისით ეხებოდნენ ერს, როგორც საზოგადოებრივ ერთეულს.

საერთო ისტორია', ხალხის წარსულს ცხოვრებას, საერთო ჭირსა და ვარამსა, საერთო ბედნიერებას, სიამაყეს—ხანგრძლივ ისტორიულ მსვლელობაში დიდი მნიშვნელობა აქვს ერის შედუღებისა და ჩამოყალიბებისათვის, მაგრამ ამ ისტორიულ თვალსაზრისით სავსებით არ ირკვევა და ხასიათდება ერის ცნება. არც ანთროპოლოგიურ თვალსაზრისს (ჰუმპლოვიჩი) აქვს დიდი მნიშვნელობა. ძვლად შეიძლება უფრო უზრუნველი იყო ხალხი სხვა მოდგმისა და ტომთა არევისაგან. ეხლა, როცა მიმოსვლა ასე გაადვილებულია, ეთნიურ სიწმინდის დაცვა ძნელია. ხშირად ერში არეულნი არიან სხვა და სხვა ეთნიური ჯგუფები, მაგრამ მიუხედავად ამისა ერი მტკიცე საზოგადოებრივს ორგანიზაციას წარმოადგენსო. მესამე თვალსაზრისი—ფსიხიური იკვლევს ერს, როგორც კულტურულს ერთეულს. რენანმა სთქვა, ებრაელებს ახასიათებს არა თავის ქალის მოყვანილობა, არა სახის კანი, არამედ მათი სული. და ფსიხიურის თვალ-საზრისით ერი არის სული, საკუთარის შემოქმედებითა, საკუთარის ძალღონით შექმნილი მთელ თავის არსებობის განპავლობაშიო. კლასსა და წოდებასაც კი ახასიათებს საკუთარი სული—ფსიხოლოგია, და მით უფრო აქვს ეს სული ერსაო. ამიტომაც ლექტორს ერის მეცნიერულად შესწავლისათვის უფრო საყურადღებოდ მიაჩნია ისტორიულ-ფსიხოლოგიური თვალსაზრისი, რომლის მიხედვითაც ერი განსაზღვრულ საზოგადოებრივ ჯგუფის ისტორიულად განმტკიცებული სულიერ კულტურული ერთობაა. ერის შექმნაში ანტროპოლოგიურ ფაქტორს მეორე ხარისხოვანი ადგილი უჭირავს.

ძლიერია ის ერი, რომელი ერიც მაღლა სდგას თავის სულითა და კულტურით. ინგლისი ერთს პატარა კუნძულზეა თავმოყრილი, მაგრამ მისი მაღალი სული და კულტურა იმორჩილებს არა ერთსა და ორ მილიონ ინდუსსა. ასევეა საფრანგეთი, გერმანია და სხვ. სწორედ ეს საერთო კულტურა იყო, რომ შეადუღა ერთად გასკონელი, ოვერნელი, ბრეტონელი, ნორმანდიელი, კორსიკელი და ერთი მთლიანი ძლიერი საფრანგეთის ერი წარმოშობა.

რა ურთიერთობაა ერსა და სახელმწიფოს შორის? რა არის სახელმწიფო? თანამედროვე სახელმწიფოს ახასიათებს: ერი—ხალხი, ტერიტორია, უფლობა (**власть**). ერი, როგორც ნათქვამი იყო, სულიერ—კულტურული ერთობაა, ე. ი. ფსიხიური მოვლენა. უფლობაც ასევე ფსიხიური მოვლენაა. მორჩილება მხოლოდ ადამიანის შეგნებისა და ნების საქმეა. ჰსურს პიროვნებასა თუ ერს და ჰმორჩილობს, აღიარებს უფლობას. გარეშე ამ სურვილისა უფლობა, მორჩილება არ არსებობს. ამნაირად სახელმწიფოც, როგორც ერი, ფსიხიური მოვლენაა. ერი ცდილობს სახელმწიფოდ შეიქმნეს, ერი და სახელმწიფო მჭიდროდ არიან დაკავშირებულნი. ერი თავის ისტორიულ მსვლელობაში ცდილობს შეჰქმნას საკუთარი სახელმწიფო.

საზოგადოებრივი ჯგუფი, რომელიც თავის თავს ერადა სცნობს და ამავე დროს ცხოვრობს სხვა პატარა ერებთანა და ჯგუფებთან—გაბატონებულ ერად იწოდება. ხოლო თუ გაბატონებულმა ერმა საკუთარი სახელმწიფო შეჰქმნა—მაშინ ამ ერს მპყრობელ ერს უწოდებენ. მპყრობელი ერი საკუთარ სახელმწიფოში ცდილობს ეს ჯგუფები და ერები შეითვისოს ასიმილაციის საშუალებით. ეს ასიმილაცია ბრძოლითაც ხდება, მაგრამ ეს საშუალება ყოველთვის მიზანს ვერ აღწევს. ერი რომლის წინააღმდეგაც იარაღია ამართული, ერთდება, ეროვნული თავმოყვარეობა ებადება და თავის ეროვნულ კულტურასა და თავისებურებას იცავს. ასიმილაცია ძნელია იქ, სადაც მპყრობელ ერთან ბევრი სხვა ერი სცხოვრობს, მაგ., ავსტრიაში. ამიტომაც, ფულიესი არ იყვეს, საზარალოა ერთბაშად ბევრ უცხო ტომის შემოერთება, სანამ ასიმილაცია არ მომხდარა სახელმწიფოში მცხოვრებ ერებისა.

მპყრობელი ერი ძალაუნებურად ადასტურებს ხოლმე სხვა და სხვა ერთა განსაზღვრულ თავისებურებებს. მაგრამ ამ დადასტურებას თავისი საზღვარი აქვს და იმას იქით ნაბიჯის გადადგმა შეცდომა იქნება, რადგან იგი მპყრობელ ერის ინტერესთა წინააღმდეგი შეიქნება.

ზევით ნათქვამი იყო, რომ ერი სახელმწიფოს შექმნისაკენ მიისწრაფვის. ეს მისწრაფება პატარა ერთაც ემჩნევათ. ამიტომ მპყრობელმა ერმა არაფრის გულისათვის ავტონომია არ უნდა მიანიჭოს რომელიმე ერს, რადგან ცნობილ მეცნიერის ელინეკისა არ იყვეს, ავტონომიიდან ერის საკუთარ სახელმწიფომდის ერთი ნაბიჯილაა. საკმაოა სახელმწიფოში უმნიშვნელო რამ მოვლენა, რომ ავტონომიამ სახელმწიფოდ გამოაცხადოს თავი.

ამის შემდეგ ლექტორი შეეხო პოლონეთსა, მალოროსებს (უკრაინელებს), ეგრედ წოდებულ ჩერვონნაია რუსებს და სხვ. ლექტორმა აღნიშნა, რომ პოლონელთა შორის ძლიერია საკუთარ სახელმწიფოს შექმნის მოტრფიალეთა ბანაკი. პოლონელებს ძლიერი კულტურაცა აქვთ, მაგრამ სახელმწიფოს დაარსება ალბად (!) საზარალოა, რომ იქ მესამოცდაათე წლებიდან თავი იჩინა საწინააღმდეგო მიმართულებამ „უგოდოვცევებისამ". უგოდოვცები ურიგდებიან რუსეთის სახელმწიფოს, მხოლოდ პოლონეთის ერის ზოგიერთა უფლებას აღიარებენ, ამ უფლებათა გარანტიასა თხოულობენ, ე. ი. რუსეთს განსაზღვრულ **modus vivendi**-ს უდებენ.

მალოროსებისა და დანარჩენთა შესახებ ლექტორმა მოკლედ მოსჭრა. ისინი რუსები არიან, ერთი კულტურის ხალხი. იმათ შესახებ ყველა თავისუფლება უნდა აღიარებული იყვეს. ილაპარაკონ როგორც უნდათ, მხოლოდ გულით კი რუსები უნდა იყვნენო.

რუსებს ძლიერი კულტურა აქვთო. დოსტოევსკი და დიდებული ტოლსტოი რუსები იყვნენ, რუს კულტურის შვილნი. მაღალია ეს კულტურა, მაგრამ მას მასიური, ფართო ხასიათი არა აქვს. ამიტომ როცა ზოგიერთ უნივერსიტეტში, მაგ. ოდესისაში, უცხო ტომის სტუდენტები (კავკასიელები) ბლომად შედიან, თავიანთი გავლენა შეაქვთ რუსის სტუდენტებში. ნაკლები კულტურის ხალხით ივსება უნივერსიტეტი და ეს სტუდენტთა კულტურაზე გავლენას ახდენს. კავკასიელთა დასახასიათებლად ასეთი მაგალითი მოიყვანა. ერთხელ ოდესაში კავკასიელი სტუდენტები ოთახში შეგროვილიყვნენ და ეგზამენებისათვის ემზადებოდნენ. უცბად ქუჩიდან სამხედრო მუსიკის ხმა შემოესმათ. წამოცვივდნენ, წაავლეს ხელი ჯოხებს, ცეცხლის საჩხრეკებს, ცოცხის ტარებს, გაიდეს მხარზე და დაიწყეს ჯარივით წინ და უკან სიარული. მუსიკამ მათში მამაცობის გრძნობა გააღვიძა... რადგან ჩვენი კულტურა მასიური არაა და აგრეთვე უნივერსიტეტში კავკასიელები სჭარბობენ, ჩვენ მათზე გავლენას ვერ ვახდენთო. ამ ბოლო დროს უნივერსიტეტის მასწავლებელნი იმ აზრისანი არიან, რომ განსაზღვრული ნორმა დააწესონ უცხო ტომის სტუდენტთათვის.

ბ. გრიბოვსკიმ მოიხსენია სოციალ-დემოკრატიული მოძრაობაც, აღნიშნა, რომ ამ მოძრაობის წინამორბედთ—მარქსსა და ენგელსს ერი არად სწამდათ, არც ანგარიშს უწევდნენ ეროვნულს მოძრაობას. შემდეგ კი ადლერი, ბერნერსტორფერი, ოტო ბაუერი და შპრინგერი, ერის უფლებას აღიარებენ და ეროვნულს მოძრაობასაც მხარს უჭერენო...

გრიბოვსკიმ ლექცია რუზველტის სიტყვებით დაამთავრა: „სიამოვნებით მივეგებებით გადმოსახლებულ ირლანდიელებსა და გერმანელებს. მხოლოდ იმათ უნდა დაივიწყონ ყოველივე თავისი ეროვნული და ამერიკელებად გადაიქცნენო. წინააღმდეგ შემთხვევაში იმათ აქ ადგილი არ ექნებათო".

ასეთია შეხედულება რუსის ნაციონალისტისა ეროვნულს საკითხზე.

ლექციის პირველი და მეორე ნაწილის წინ რუსის საერო ჰიმნი იმღერა მომღერალთა გუნდმა. ხალხი ფეხზე იდგა.

ს. მ.

## დეპეშა

(საკუთარ კორესპონდენტისაგან).

**ბათუმი** 20 თებერვალს, საღამოთი, ართვინის ოლქში, ინგლისის საზოგადოების მაღაროში თოვლის დიდი ზვავი ჩამოწვა და მუშების საცხოვრებელი შენობები დიტანა. დახოცილია 17 კაცი, მძიმედ დაიჭრა 11 კაცი.

## ტარას შევჩენკო

(მისის გარდაცვალებიდან 50 წლის შესრულების გამო)

**1861—1911 წ. წ.**

**1814** წლის 25 თებერვალს კიევის გუბერნიის, ზვენიგოროდსკის მაზრის სოფელ მორინცაში გლეხს—ყმას გრიგოლ შევჩენკოს დაებადა მეხუთე შვილი—ტარასი. ოჯახი მეტად ღარიბი იყო და თითქმის სულ შიმშილობდა. ეს იყო ბატონყმობის ხანა, როდესაც ყმებს მხოლოდ კვირაობით შეეძლოთ თავიანთს სახლში ემუშავნათ, ხოლო დანარჩენ დროს სულ მემამულეებისთვის—„პანებისთვის"—მუშაობდნენ. ამიტომ ბევრი ტანჯვა-წვალება ხვდა პატარა ტარასსაც. უარესი გახდა მისი მდგომარეობა, როდესაც დედა გარდაიცვალა და მამამ სხვა ქალი შეირთო ცოლად. დედინაცვლის ხელში ცხოვრება სწორედ აუტანელი იყო ბავშვისათვის. მამა მაინც ზრუნავდა შვილისთვის და წერა-კითხვის სასწავლებლად მიაბარა თავიანთ მედავითნეს. 12 წლის ტარასს მამა მოუკვდა და ყმაწვილი სრულიად ობლად დარჩა. არ ჰქონდა სახლი, არ ჰქონდა კარი, მოსვენება და არსაით ესმოდა ტკბილი სიტყვა. ხან ვის ემსახურებოდა, ხან ვის. ამაობაში მეზობლებისაგან კედლებისა და იატაკების ღებვა ისწავლა. ხან მწყემსობდა და ხან მუშაობდა იმ დრომდე, სანამ 16 წლის ტარასი პანმა არ წაიყვანა თავის სახლში სამსახურისთვის. ამ მემამულეს—პანს ენგელგარდტი ერქვა. მან ტარასს ნიჭი შეამჩნია და ერთს მხატვარს მისცა ხელობის სასწავლებლად. ენგელგარდტი ჩქარა პეტერბურგს გაემგზავრა და ტარასი წაიყვანა თან და იქაც ამ ხელობაზე მიაბარა მღებავს შირიაევს, რომელიც სხვა და სხვა ადგილას ჰგზავნიდა შეგირდს იატაკებისა და კედლების სადებავად. პეტერბურგში ტარასი შემთხვევით შეხვდა თავის თანამემამულეს—მხატვარს სოშენკოს, რომელმაც ტარასი გააცნო რუსის პოეტს ჟუკოვსკის, გრებენკოს და მხატვრებს ვენეციანოვს, ბრიულლოვს და სხვებს. ამ პირებმა შეატყვეს შევჩენკოს დიდი ნიჭი და მემამულისგან 2,500 მანეთად გამოისყიდეს (22 აპრილს 1838 წ.), რის შემდეგაც პეტერბურგის სამხატვრო აკადემიაში მიაბარეს. აქ ტარასი დიდს დროს ანდომებდა თვითგანვითარებას, ესწრობოდა უნივერსიტეტში ლექციებს და სწერდა კიდეც...

1840 წელს გამოვიდა მისის ლექსების კრებული, რომელსაც რუსთა კრიტიკოსები ბელინსკის მეთაურობით მეტად სასტიკად შეეგებნენ, და

---

მოელოდა და ამიტომ, ამიერიდან თავად-აზნაურობა მხოლოდ იმის ცდაში იყო რომ ტკბილს ენითა და მამაშვილურის დარიგებით მოეხდინა ის ცვლილება, რომელიც მას არაფერს დააკლებდა.

სწორედ აქედან დაიწყო თავად-აზნაურობამ ტკბილ ხმაზე ღიღინი: „თავად-აზნაურობა საქართველოში—აცხადებს თვით თავად-აზნაურობა—არსებობდა გლეხ-კაცობით, თავად-აზნაურობას ახსოვს და ჰგრძნობს ამას და როდესაც დადგა დრო მათგან განშორებისა, თავად-აზნაურობას ჰსურს საქმით დაუმტკიცოს გლეხობას კეთილშობილური ხსოვნა. ამ მიზნით მან გადასწყვიტა მსხვერპლი შესწიროს...[2]) თავად-აზნაურობა აცხადებს, რომ მას გლეხობის სიკეთე უნდა, განა „არ არის იმის მრავალი მაგალითები—გვიხსნის თავად-აზნაურობა—რომ გლეხობა სიხარულით სწირავდა თავს ბატონისათვის, აგრეთვე მრავალია იმის მაგალითებიც, რომ ბატონებიც სწირავდნენ თავიანთ სიცოცხლეს გლეხ-კაცობის დასაცველად". [3])

აი მკითხველნო, როგორ შეიცვალა თავად-აზნაურული ბრაზი და ტირილი მას შემდეგ, რაც მთავრობამ თავად-აზნაურობას ჩაუგდო ხელში ყმების განთავისუფლების საქმე, რაშიაც მთავრობაც დაინტერესებული იყო—განსაკუთრებით საქართველოში—მკვიდრთა ხალხს მიწა-წყალი და სხვა არ გაჰნაწილებოდა. მაგრამ პირმოთნეობა და ტკბილ ხმაზე ღიღინი როდია არსებითი მოვლენა თავად-აზნაურთა საქმეში, ლათაიები მხოლოდ სამშვიდობო გზით გლეხების გაფცქვნის საქმეა და როდესაც ბატონ-ყმობის არსებით კითხვებს შეეხებოდნენ ისინიც, მათ მყისვე წინ უდგებოდათ ის ინტერესი რომელიც ჩვენ ზევით აღვნუსხეთ.

დიახ, თავად-აზნაურობა თავის ინტერესებს მტკიცედ ადგია და აი თავად-აზნაურობის დიდი უმრავლესობა ადგენს, რომ, თავად-აზნაურობა:

1) გლეხობას თავისუფლებას აძლევენ;

2) სტოვებენ მათს სარგებლობაში [2]), ყველა იმ მიწებს, რომელიც მათ სარგებლობაში იმყოფება იმ გადასახადების რაოდენობით, რასაც ისინი იხდიდნენ. [3])

მაგრამ ამ მსხვერპლის ნივთიერი მხარე ხომ არაფერია? განა ამისათვის ღირდა მამა-შვილურ და კეთილშობილურ გრძნობების გაღიზიანება და წამოყვედრება? ნამდვილად, თავად-აზნაურობა სრულებით არ ფიქრობდა გლეხებისათვის ნივთიერ დახმარებისა და მსხვერპლის გაწევას და როცა ნივთიერებაზე მიდგა საქმე, თავად-აზნაურობამ დაიწყო ის გარემოება, რომ გლეხობა მათ არჩენდა, რომ გლეხობა მათთვის სიცოცხლეს სწირავდა და პილატესებრ ხელ-გაბანილნი აღიარებენ: „ამ მიწების გლეხობის საკუთრებად დანაწილებას თავად-აზნაურობის უმრავლესობა პირდაპირ შეუძლებლად სცნობს" [4]).

ალექსანდრე მეორეს მანიფესტით, გლეხობის საკუთრებად უნდა დარჩენილიყო—გამოსყიდვით — განსაზღვრული რაოდენობა საწარმოვო მიწა-ადგილისა მთელ რუსეთისათვის სანადელო ნორმა კომლზე 5 დესეტინას უდრიდა და რუსეთში განსაზღვრული და გადაწყვეტილი ნორმა თავად-აზნაურებს აუცილებლად უნდა მიეცა ყმა-გლეხისათვის. მაგრამ საქართველოს თავად-აზნაურობა რუსეთის თავად-აზნაურობაზე არა ნაკლებ იბრძოდა და გადაწყვეტილი ჰქონდა: „სადაც მიწები გლეხობის საკუთრებად გადაიქცევა, იქ მემამულეს ცხოვრება აღარ შეეძლება და ყოველივე ის, რაც თავად-აზნაურობას ეკუთვნის, განადგურდებაო" [5]). რადგან რუსეთის მთავრობაც მიისწრაფოდა გლეხების ხელში საკუთრებად არ გადასულიყო საქართველოს მიწა-წყალი, პირველად დაპირებული მიწის ნორმა ტფილისის გუბერნიისათვის, კომლზე ხუთი დესეტინა სარწყავ მიწისა და ურწყავის 10 დეს. და ქუთაისის გუბერნიისათვის უმაღლესი ნორმა—$4^1/_2$ დეს. (უმდაბლესი კი—$1^1/_2$ დესეტინა), საქართველოში დაპირებად დარჩა და ცხოვრებაში არ გამოუყენებიათ [6]), რადგან საქართველოს მემამულეებს ნება მისცეს გლეხებისა სანადელო მიწის ნახევარი თავისთვის დაეტოვებინა. მაგრამ თავად-აზნაურობის მისწრაფება ამით არ კმაყოფილდებოდა. მათ ძვალ-რბილში გამჯდარი ჰქონდა უწმინდესი სიყვარული იმ მეტის-მეტად ტკბილ წვენისა —რომელსაც მოუხეშავი ეკონომისტები რენტას უწოდებენ და რომელიც მიწიდან მოდიოდა, ამიტომ ისინი სცდილობდნენ კიდევ უფრო შეემცირებინათ გლეხების მიწის ნადელის ნორმა და აქაც მთავრობა თავად-აზნაურობის ლაღადისს კეთილსინიდისიერად ასრულებს, რადგან, მთავრობა აცხადებდა, წვრილი მიწადმფლობელები, რომელთაც ტფილისის გუბერნიაში არა უმეტეს სამოცი დღის სახნავ-სათეს მიწისა აქვთ და ქუთაისის გუბერნიაში 30 ქცევისა,—სრულებით თავისუფლდებიან გლეხებზე ნადელის გაცემიდანო" [1]).

უალაგობისა გამო ვერ შევეხებით დაწვრილებით ყველა იმ ზომებისა და პოლიტიკის აღნუსხვას, რომლითაც საერთოდ საქართველოს გლეხ-კაცობა კვლავ ბატონყმურ კლანჭებში დარჩა. აშკარაა მხოლოდ, რომ მთელი მე-60 წ.წ. რეფორმა თავად-აზნაურობისა და მთავრობის ზომებით ისე შემცირდა, შევიწროვდა, რომ თვით მთავრობის უმაღლესი მოხელენი—როგორც მაგალითად კავკასიის ნამესტნიკი გრაფი ვორონცოვ-დაშკოვი [2]) (სახელმწიფო სათათბიროს სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციაზე რომ არაფერი ვთქვათ [3]),—პირდაპირ ნუსხავენ, რომ გლეხების ეკონომიური მდგომარეობა გაუარესდა, რომ მე-60 წ.წ. რეფორმებით თვით თავად-აზნაურობამ ისარგებლაო.

დიახ, გლეხ-კაცობის მდგომარეობა გაუარესდა. გლეხებმა რეფორმებით დაჰკარგეს ის მიწები, რომლითაც ისინი რეფორმებამდე სარგებლობდნენ. გლეხებმა აგრეთვე დაჰკარგეს ის მიწებიც, რომელიც მათი სისხლით მონაგარ გროშით იყო შეძენილი და დასაკუთრებული. განა ის ფაქტი, რომ გლეხების საბუთიანი ქაღალდები — რომელთა რიცხვი 63,668 უდრიდა, აი ამ საბუთიან ქაღალდებით შეძენილი მიწა-წყალი ბატონ მემამულეებს ჩაუვარდა ხელში, [4]) რას ნიშნავდა? და ასეთ უსამართლობის ჩამოთვლა ხომ არც ასე ადვილია; ყველაზე უფრო კი რეფორმების გავლენას გლეხებზე და საქართველოს თავად-აზნაურობის და მთავრობის როლს გლეხების განთავისუფლების საქმეში ის ახასიათებს, რომლითაც გლეხების მიწათმფლობელობას კოეფიციენტად დადებული ნოლი ამშვენებს, რასაც ჩვენ რამდენამე უკვე შევეხეთ „სახალხო გაზეთი"-ს ფურცლებზე და რასაც იმედია მომავალშიც შევეხებით...

**თედ. ღლონტი.**

2) იხ: „Опись бумагамъ по дѣлу объ устройствѣ помѣщичьихъ крестьянъ въ Тифл. губ." გვ. 20—21.

3) იხ. „Опись бумагамъ" გვ. 20.

2) კურსივი ყველგან ჩემია—თ. ღ.

3) „Опись бумагомъ" გვ. 21.

4) „Опись бумагамъ" გვ. 21

5) „Опись бумагамъ" ibidem.

6) უფრო დაწვრილებით იხ. „Матеріалы для изуч. экон. быта госуд. кр. Закавк. Края" т. I, გვ. 418—419, აგრეთვე Сасновскій: „Матеріалы по вопросу о распр. дѣйствій Кр. позем. банка на Закавк. Край", 24.

1) იხ. „Сборникъ правительственныхъ распоряженій и рѣшеній по устройству быта крестьянъ и поселянъ Кавказскаго Края", გვ. 39 და სხვა.

2) შეულისხმოთ გრაფ ვორონცოვ-დაშკოვის 1905 წ. მოხსენებას და 1907 წლის „Всеподданѣйшая записка"-ს.

3) შეულისხმოთ ს. დ. ფრაქციის „Законодательное предположеніе"-ს, და „Приложеніе"-ს.

4) დალაგებით იხ. ესაძე „Историческая записка" და ს. დ. ფრაქციის „Дополнительное объясненіе", N 15.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შევჩენკოს ლექსებში დაინახეს „ვიწრო პროვინციალიზმი“. უკრაინა? იგი უკვე გამოღვიძებული იყო საუკუნე ნახევრის ძილისგან... ერთის წლის შემდეგ, როდესაც კვლავ ზედი ზედ გამოვიდა შევჩენკოს ლექსთა მეორე და მესამე კრებული, უკრაინამ პოეტი სალოცავ ხატად აღიარა. აკადემიის გათავების შემდეგ შევჩენკო სამშობლოში დაბრუნდა. მისი დაბრუნება ნამდვილი ეროვნული დღესასწაული იყო უკრაინისთვის. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ უკრაინული ენა, რომელზედაც ლაპარაკობდა მხოლოდ დაბალი, დამონავებული ხალხი, დიდს ზიზღს იწვევდა [illegible] შორის როგორც „ტეტიური ენა“, თუმცა ამ ენაზე ლაპარაკობდა 15 მილიონიანი ხალხი.

შევჩენკომ სწორედ ამ ენაზე დასწერა თავის მშვენიერი ლექსები და [illegible] დაუმტკიცა, რომ მათი აზრი უკრაინულ ენის შესახებ შემცდარია. ამ უბრალოდ აგდებულ და შეგნებულ ენით გამოსთქვა შევჩენკომ მძიმე [illegible] სამშობლოსი, გამოსთქვა მისის წარსულ დიდების სიმშვენიერე და [illegible] გამოიტირა საწყალ ხალხის [illegible]ბედურება. მთელმა ქვეყნიერებამ წინააღმდეგ რუსის კრიტიკოსებისა და [illegible]ნებისა“, შევჩენკო აღიარა დიდებულ და გენიოს პოეტად.

პოეტს დიდხანს არ უცხოვრია სამშობლოში. სხვა მწერლებთან ერთად მან დიდი მონაწილეობა მიიღო „ზა-[illegible] წინააღმდეგ საპროტესტოდ კირილე-მეფოდის ძმობის დაარსებაში, რომელსაც საფუძვლად დაედო ფედერატიულ-სლავიანური იდეა. ყველა მწერლები, მასთან შევჩენკოც, დააპატიმრეს და უბრალო ჯარის კაცად გაჰგზავნეს ორსკის ციხეში, ორენბურგის ოლქში და შემდეგ იმიერ კასპიის მხარეს. 10 წელიწადი დაჰყო მან ასეთ ყოფაში (1847—1857 წ.). მძიმე და დამამცირებელია ცხოვრება სამშობლოს გარედ და უფრო მეტად საგრძნობი იყო მდგომარეობა შევჩენკოსი, რადგან ამ ტყვეობაში წერისა და ხატვის ნებასაც არ აძლევდნენ. ფარულად სწერდა იგი ლექსებს და ჩუმად ინახავდა წაღის ყელებში. თავისუფლებას მოკლებული პოეტი ძლიერად გრძნობდა ტყვეობის სიმძიმეს და ძლიერადვე მოსთქვამდა იგი თავის ლექსებში თავისუფლებასა, ძმობასა და ყველა ხალხის უფლებრივ გათანასწორებაზე; მუდამ კვნესოდა და ცხარე ცრემლებით სტიროდა თავის საყვარელ, მაგრამ შორს მყოფ მშობლიურ უკრაინის ბოროტს ბედზე.

ამნისტიის მიღების შემდეგ სამშობლოში მხოლოდ სამი წელიწადი იცოცხლა, ხან და ხან პეტერბურგშიაც მიდიოდა.

ამ სამის წლის განმავლობაშიც არ მოუსვენია პოეტს, თუმცა მისი ჯანი შერყეული იყო: დასნეულებულს არასდეს არასოდეს ძირს ფრთები არ დაუყრია. თავდადებით მუშაობდა, სწერდა, ადგენდა სახელმძღვანელოებს თავის ხალხისათვის და სწერდა ლექსებს. თავის უკანასკნელ ხანში დასწერა მან ლექსი „კავკასია“.

შევჩენკო მოკვდა პეტერბურგში [illegible] 26 თებერვალს 1861 წელს. თავისუფლების თავგამოდებული მომღერალი მოკვდა ისე, რომ ვერ მოის-[illegible]

[illegible]

1914 წლის [illegible] შევჩენკოს [illegible]

[illegible]

დღესასწაულისთვის. კარგი იქნება, რომ ქართველებმაც მიიღონ მონაწილეობა უკრაინის ეროვნულ დღესასწაულში. **ხალამური.**

## წერილი ფოთიდან

(საკრედიტო ამხანაგობის წლიური კრება). წესდების მე-110 მუხლის თანახმად 6 თებერვალს გამგეობამ ქალაქის გამგეობის დარბაზში საზოგადო კრება მოიწვია. კრება მოწვეული იყო განსაკუთრებული უწყებებით დილის 10 საათზე. 11 საათზე გამგეობის დარბაზი ხალხით გაივსო. ამხანაგობის საბჭოს თავჯდომარემ ბ. კ. მ. გიგინეიშვილმა, თანახმად მე-112 მუხლისა, კრება კანონიერად გამოაცხადა და დამსწრეთ წინადადება მისცა, თავჯდომარე აერჩიათ. თავჯდომარედ ერთხმად არჩეული იქნა ამ ამხანაგობის საპატიო მზრუნველი, ფოთის ქალაქის თავი ბ. ნ. ნიკოლაძე, ხოლო მდივნად გამგეობის საქმის მწარმოებელი ა. ი. ხოშტარია. ამხანაგობის გამგეობის თავჯდომარემ მ. ესაკიამ მოახსენა კრებას წარსული წლის ანგარიში.

როგორც მოხსენებიდან სჩანს, 1911 წ. 1 იანვრამდე ამხანაგობას 283 წევრი ჰყოლია, წლის განმავლობაში 67 მიუღიათ ახალი წევრი, სიკვდილისა გამო 2 წევრი დაჰკლებია, 16 უარი განუცხადებია და სხვა და სხვა მიზეზებისა გამო 10 წევრიც გასულა; ასე რომ წლის ბოლოს დარჩენილა ნამდვილ წევრთა რიცხვი 322, ყველა რომლისათვისაც სესხად გაუციათ 32.655 მან. ამხანაგობას ძირითადი თანხა 4396 მან. აქვს და მოკლე ვადიანი სესხი ბათუმის სახელმწიფო ბანკიდან 10.000 მან. გამგეობას შარშან 512 სესხი 31714 მან. გაუცია, სხვათა შორის: ა) ბაღოსნობისათვის—1974 მან., ბ) სასოფლო-სამეურნეო იარაღის შესაძენად—100 მან. 3) საზეინკლო და სადურგლო ხელსაწყობი იარაღების შესაძენად—350 მან., გ) სამუშაო საქონლის შესაძენად—3365 მან., დ) სახელოსნოებისათვის მასალების შესაძენად—7715 მან., ე) ხე-ტყის და შეშის ფასად 3905 მან. ვ) სხვა-და-სხვა სავაჭრო საქონლის შესაძენად—9867 მან. ზ) ბინების შესაკეთებლად—1065 მან., ი) საქონლის საკვების შესაძენად—550 მან. და ლ) სხვა-და-სხვა სამეურნეო მოთხოვნილებისათვის—2823 მან.

ზემო მოხსენებულ თანხას 1910 წლ. განმავლობაში 2397 მან. 70 კაპ. მოუგია. დახარჯულა: ორ გამგეობის წევრს—150 მან., მოანგარიშეს—240 მან., უწყების დამრიგებელს—75 მან., წიგნებისა, დავთრებისა, ფოსტის ხარჯი და სხ.—158 მან. 56 კ. დაუბრუნებიათ სარგებელი სესხის ვადამდე შემოტანისთვის—3 მან. 50 კ. ფულების მიმბარებელი მიუღია, სარგე-[illegible] 25 მ. 03 კ. [illegible] 676 მან. 48 კაპ. [illegible] 2 მან. [illegible] 493 მან. [illegible] 24 მან. [illegible] 1523 მან. 49 [illegible]

წესდების მე-80 მუხლის თანახმად [illegible] 20 % (120 მან. 90 კ.) [illegible] 40 % (235 მან. 10 კ.) [illegible] 217 მან. და 49 კაპ. [illegible] 1911 წლის ხარჯთ-აღრიცხვა. [illegible] 1910 [illegible] 2200 მან. [illegible] 820 [illegible] 200 მან., [illegible] 300 მან., [illegible] 75 მან., [illegible] 160 მან., [illegible] დასათვარავად—2 მან. მოულოდნელი ხარჯისთვის—23 მან. *)

ზემო მოხსენებულ ხარჯთ-აღრიცხვის აზრით გამგეობას შეიძლება წლის ბოლოს 500 მან. დარჩეს. კრებამ მოისმინა რა 1910 წლ. ანგარიში და 1911 წლის ხარჯთ-აღრიცხვა ერთ ხმად დაამტკიცა. ამასთან გამგეობამ კრებას მოახსენა შუამდგომლობა აღძრას სახელმწიფო ბანკის წინაშე გამგეობას ფოთის ხაზინაში 1000 მანეთის განსაკუთრებული კრედიტი გაუხსნას, მიბარებულ ფულების დასაბრუნებლად. კრებას დაავალა გამგეობას ამის თაობაზე შესაფერი შუამდგომლობა აღძრას.

საპატიო მზრუნველმა ბ. ნ. ნიკოლაძემ წინადადება მისცა ქალაქის გამგეობის მთავარ მოანგარიშეს (ბუხგალტერს) ბ. კ. გამყრელიძეს ქართულად განემარტა კრებისთვის იმ რევიზიის შინაარსი, რომელიც წვრილი კრედიტის ინსპექტორს (Инспекторъ Мелкаго Кредита) თავ. მიქელაძეს გასულ წელს, ნოემბრის 24, 25 და 26 რიცხვებში მოუხდენია. როგორც ამ რევიზიიდან სჩანს, უოველივე წარმოება გამგეობაში წესიერად მიმდინარეობს, მხოლოდ, შენიშნავს, რომ გამგეობას არ აქვს გაკრული წარწერა შემდეგი შინაარსისა: „აქ არის გამგეობა წვრილი კრედიტისა“, და ეს მიზეზი იყო იმისა, რომ ამხანაგობის გამგეობა, ქალაქის გამგეობის დარბაზშია მოთავსებული.

წესდების ძალით გამგეობას თავსანებებს უოველ წლივ თითო წევრი. კრებამ კენჭის ყრით ისევ ძველი წევრი აირჩია, რომელმაც მიიღო 90 თეთრი და 13 შავი. კრება დასრულდა შუადღის 2 საათზე.

P. S. ფოთის საკრედიტო ამხანაგობამ საზოგადო კრების შემდეგ მოსკოვის სახალხო ბანკის დამაარსებლებიდან წინადადება მიიღო, შეიძინოს აქცია ამ ბანკისა და ამაზე შედგენილ იქმნას საზოგადო კრების განაჩენი. გამგეობა და საბჭო თანახმა არიან შეიძინონ აქცია 250 მან. ღირებული და მომავალში მოიწვიონ საგანგებო კრება ამ საკითხის განსახილველად. საბჭომ და გამგეობამ 18 ამა თებერვლის კრებაზე დაადგინეს: ამ საგნის განსახილველად საგანგებო კრება 6 მარტისათვის მოიწვიონ. **ნეო-ელენტი.**

## მოწერილი ამბები

**დ. ფასანაური** (დუშ. მაზ.). წარსული თვის ნახევრიდან აქეთაც ჩვეულებრივი თოვლი და ყინვები გვწვია. სამხედრო გზაზე მიმოსვლა შეწყვეტილი იყო რამდენიმე დღით, უოველ სადგურზე წიგნიდან მოვიდებული თვით უაზნევგამდე, დიდძალი ხალხი მუშაობდა და 4—5 დღის განმავლობაში გზა ძლივს გაიხსნა.

დღითი-დღე მთელი მთიულეთი დიდ გაჭირვებას განიცდის უსაზრდოობისა გამო. სახნავ ადგილი აქაურ გლეხს ძალიან ნაკლები აქვს, ამის გამო ხვნა-თესვას ცოტანი მისდევენ და ვინც კი მისდევს, იმათაც ან უნდა სეტყვამ გაუფუჭოს ან არა და შემოდგომის ყინვამ. რჩებათ მხოლოდ ცარიელი ნამჯა და სხვა არაფერი. ისე რომ, მთელი წლის განმავლობაში სასყიდელი უხდებათ, როგორც თავისი საზრდო, ისე პირუტყვის საკვები.

დამუარებული საქონელსა და მცხვარზე არიან და იძულებულნი ხდებიან უკანასკნელ ბოხოლამდე გამოიყვანონ და გაჰყიდონ საზრდოს გულისათვის.

აქაურ ჩარჩებსა და გაჭირებსაც ეს უნდათ, ისედაც ცხოვრებისაგან დახავრულ ხალხს ესენი უარესად ტყავს აძრობენ; მესამედ ფასად ჰყიდულობენ, თვითონ კი, ერთი სამად უნდა გაჰყიდონ.

აგერ ერთი წელიწადი შესრულდა, რაც აქ სახელმწიფო სამკურნალო დაარსეს და მთელი წლის განმავლობაში ორ თვეს იყო მხოლოდ ექიმი, დანარჩენი კი ორ ფერშალზედაა დამყარებული მთელი მთიულეთი, თუმცა კი გადაცემულია დუშეთის სამაზრო ექიმზე და მოვალეა, კვირაში ერთხელ მობრძანდეს ხოლმე, როგორც აფადმყოფების გასასინჯად, ისე სამკურნალოს დასათვალიერებლად, მაგრამ ბატონი სამაზრო ექიმი სამ თვეში ერთხელაც არ იწუხებს თავს. რაც ადგილობრივი ექიმი წავიდა, სულ ორჯელ არ გვინახავს. როგორც გვესმის, ამა წლის პირველ იანვრიდან დანიშნული ექიმი იაგუდოვი, მაგრამ ეს მეორე თვეც მიდის და ჯერაც არ მოსულა. **ყვინჩილა.**

—

**ჭიათურა.** უველას მოგეხსენებათ დ. ჭიათურაში დაარსდა სახალხო უნივერსიტეტი, რასაც ხალხი დიდის ადტაცებით მიეგება; წინა წლებში სახალხო უნივერსიტეტის დაარსებას გამგეობის წევრები თანაგრძნობით ეპყრობოდნენ და დვაწლსაც სდებდნენ. მაგრამ ბოლო ხანებში რადაც უმოქმედობა ეტყობოდათ. 1910 წლის ოქტომბერში საზოგადო კრება მოხდა რაზედაც ძველ გამგეობა, მადლობის მაგივრად, რამდენიმე წევრმა უმოქმედობის გამო და უენერგიო მუშაობისათვის საყვედურით დააჯილდოვა 1909 წ. გამგეობის წევრები. იმავე საზოგადო კრებაზე იქმნა არჩეული ახალი გამგეობის წევრები და სარევიზიო კომისიაც, რომელშიაც ძველი გამგეობის წევრებიც მოხვდნენ ახალ გამგეობაში, და ზოგიც ახლები, რომლებიც ძალიან მოწოდებული იყვნენ საზოგადოებისათვის სამსახური გაეწიათ, და მართლაც ნოემბერში და დეკემბერში, კვირა არ გაუშვიათ რომ ან ლექცია და ან რომელიმე მოთხრობა არ წაეკითხათ საზოგადოებისათვის. ეხლა ორ თვეზე მეტია რაც ჭიათურაში ლექციებისა და მოთხრობების წასაკითხად კრინტიც არ დაუძრავსთ. ძლიერ გაკვირვებასა ვარ სწორეთ სახალხო უნივერსიტეტის გამგეობაზე ასეთ მიუხედავებისათვის. **ხირგეთელი.**

## თეატრი და ხელოვნება

**ქართული თეატრი.** კვირას 6 მარტს, ქართულ თეატრში გაიმართება საინტერესო წარმოდგენა კაპელდინერების საბენეფისოდ. წარმოდგენილი იქნება I „თამარ ცბიერი“ აკაკისა. თამარის როლს შეასრულებს ეფემია მესხი, II „მებრის სადღეღელი“.

წარმოდგენაში მონაწილეობას მიიღებენ: ვ. აბაშიძე, კ. მესხი, ელ. ჩერქეზიშვილი, ლეჟავა, გუნია, ზარდალიშვილი, მატარაძე, ქივიძე და სხვ. ბილეთები იყიდება თეატრის კასაში.

—

**თიანეთი.** 16 ამ თვეს სცენის მოყვარეთ აკაკის „პატარა კახი“ დასდგეს. საქმის მეთაურნი იმდენი ეცადნენ, რომ ყველაფერი, ტანისამოსი, და სცენისთვის საჭირო რაც უნდოდათ, ყველა მოამზადეს და თავითაც მოემზადნენ, ხოლო სახლი არა ჰქონდათ, სადაც უნდა გაემართათ წარმოდგენა. საქმე უნდა ჩაშლილიყო, რომ თავადს ვახტანგ ბარათაშვილს თავისი სახლი არ დაეთმო; პატივცემულმა ვახტანგმა, არამც თუ დაუთმო სახლი, არამედ, შიგნით კედლების განგრევის ნებაც კი მისცა, რომ სცენა უფრო კარგად მოწყობილიყო, და შემდეგისთვისაც აღუთქვა ყველაფრით დახმარება. ხალხმა ბლომად მოიყარა თავი. აიხადა ფარდაც და დაიწყო თამაშობა. მშვენიერი იყო პატარა კახი (თამარა გოჯიევი), რომელმაც დამსწრე ხალხი მოხიბლა. ძლიერ კარგი იყო, ლევან ქობულიძე მეფე (მაქრო ჩოლოყაშვილი) და გელა (ვასო გოგოლაძე). კარგები იყვნენ აგრეთვე: ქალიი (ოლღა ლუკაშვილი), გივი (კოლა შამანაური), შიკრიკი და გლეხი (კოლა გოგოლაძე) და ბაადური (გედეონ გელოვანი). არა უჭირდათ-რა დანარჩენსაც, რომელთაც ეტყობოდათ მეცადინეობისთვის არ ეღალატნათ. საერთოდ, ყველა სცენის მოყვარენი მადლობის ღირსნი არიან, რომ საქმეს ენერგიულად მოეკიდნენ და კარგათაც ჩაატარეს. წარმოდგენის გათავების ბოლოს გაიმართა საზანდარზედ ლეკური.

დამსწრე საზოგადოება ძლიერ კმაყოფილი დაიშალა. შემოსავლიდან ბევრი არა დარჩა რა, რადგანაც სცენის მოსაწყობად და საჭირო ტანისამოსის შესაძენათ ბევრი ხარჯი მოუვიდათ და ბევრი გლეხკაცობაც უბილეთოთ შეუშვეს; სამაგიეროდ იმედია, რომ შემდეგ საკმაო შემოსავალი დარჩება ჩვენი სცენის მოყვარეთ, უკეთუ საქმეს ასევე გულიანად მოეკიდებიან. **დამსწრე ქალი.**

## სასარგებლო საქმე

ამ რამდენიმე დღის წინად „სახალხო გაზეთში“ წავიკითხე წერილი ბ-ნ შინაურისა, რომელიც ურჩევს წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნების გამოცემა კარგს ნიადაგზე დააყენოს და მიჰბაძოს კერძო გამომცემელთა მაგალითს.

ეს საკითხი, მართლაც, დიდმნიშვნელოვანია. ისე არავის აკლია კარგი წიგნები, როგორც ჩვენ, ქართველებს. დღემდის იმას ვიმეზეზებდით, ღარიბები ვართ და დიდი წიგნების გამოცემა არ შეგვიძლიან, დიდს წიგნებს მყიდველიც არ ეყოლებაო. ცხოვრებამ დაგვიმტკიცა, როგორც ამას სამართლიანად შენიშნავს ბ-ნი შინაური, რომ ეს აზრი შემცდარია. ამ მოკლე ხანში ბლომად გამოიცა კარგა მოზრდილი წიგნები და იაფადაც დაურიგდა ხელის-მომწერლებს. ასე იაფად რუსულ წიგნს თავის დღეში ვერ იყიდდნენ.

წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, რომელსაც ჩვენი ხალხი ნდობით უცქერის, ადვილად მოახერხებს დიდი წიგნების გამოცემას ხელის მოწერით. თუ კერძო გამომცემლები ახერხებენ ამას, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას უფრო არ უნდა შეეძლოს? გამოსაცემი წიგნები კი ძალიან ბევრია. ჯერაც არა გვაქვს სრული კრებული ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის ნაწერებისა. რა დიდს დანაკლისს წარმოადგენს ჩვენთვის ის გარემოება, რომ ილია ჭავჭავაძეს დროსვე ვერ მოხერხდა მის თხზულებათა სრული კრებულის გამოცემა! მის რედაქტორობით გამოსულ თხზულებათა კრებულს სულ სხვა მნიშვნელობა ექნებოდა.

ილია ჭავჭავაძეს ამის განზრახვაც ჰქონია და თავის თხზულებათა შეკრება დაეწყო, მაგრამ არ დასცალდა. ილია ჭავჭავაძემ ეს ვერ მოასწრო, მაგრამ აკაკი წერეთელი ხომ, ღვთით, ცოცხალია. ავტორის რედაქტორობით გამოსული სრული კრებული თხზულებათა დაუფასებელ განძად გარდაიქცეოდა ჩვენთვის. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას დღემდისაც უნდა ეზრუნა ამაზე, მაგრამ თუ დღემდის არაფერი გაუკეთებია ამ დარგში, შემდეგისთვის მაინც უნდა იზრუნოს.

ამას გარდა, წიგნების გამოცემის საქმეში ინიციატივის გამოჩენაცაა საჭირო. წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ თვითონ უნდა შეარჩიოს მასალა და მოაწყოს მთელი რიგი გამოცემათა. ქართულს ენაზე არც ერთს დარგიდან არ მოიპოვება სერიოზული გამოცემანი. მოთხოვნილება კი დიდია. ეს იქიდანა სჩანს, რომ კერძო პირთა გამოცემებს ხალხი ხარბად ეტანება.

ნაღდი ფული ამისათვის საჭირო არ არის. საჭიროა მხოლოდ წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ ენერგია და ინიციატივა გამოიჩინოს. ფულს მყიდველი გაიღებს წინდაწინვე. ბ-ნი შინაური იმასაც სამართლიანად შენიშნავს, რომ წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების ადგილობრივი განყოფილებანი ბუნებრივს აგენტებად გადაიქცევიან. კარგად მოწყობილი აგენტურა საშუალებას მისცემს წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას ფართოდ მოჰფინოს [illegible] გამოცემები მთელს საქართველოში.

სკოლები კარგი საქმეა, მაგრამ მარტო სკოლებზე შეჩერება არა კმარა. წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ სხვა დარგებსაც უნდა მოჰკიდოს ხელი, და ერთი ამ დარგთაგანი წიგნების გამოცემაცაა. **ხოფელელი.**

## ღია წერილი

**ბ-ნთ ვლ. ახმეტელაშვილსა და ნიკო ელიავას.**

1910 წლის გაზაფხულის პირად, პეტერბურგიდან ჟურნალ „მოგზაური“-ს სახელზე გამოვგზავნე ვრცელი წერილი: „ცოტა რამ საქართველოს სოციალ-ეკონომიურ განვითარებაზე“ (ათი საფელეტონე). „მოგზაურს“ ეს წერილი მიელო და განსახილველად გადაეცა პატივცემულ ვლადიმერ ახმეტელაშვილისათვის. როცა პეტერბურგიდან დავბრუნდი და ბ. ვლ. ახმეტელაშვილი ვნახე—წერილის შესახებ მითხრა—რომ ნაშრომი საინტერესოა და აუცილებლად უნდა დაიბეჭდოსო. წინააღმდეგ შემთხვევაში მე წერილს უკანვე წავიღებდი, მაგრამ რადგან ახმეტელაშვილი როგორც პირადად, ისე წერილებითაც მატყობინებდა დაიბეჭდებაო—მეც დავუტოვე. მას შემდეგ „მოგზაური“ დაიკეტა, მე უკან დასაბრუნებლად მოვითხოვე ჩემი წერილი, მაგრამ კვლავ მიპასუხეს, რომ ხელ-ახლა ვაპირებთ ჟურნალის გამოცემას, ყოველ შემთხვევაში ალმანახისასო, და დავსტამბავთო.

ამ დაპირებით რამდენიმე თვე გავიდა. მე კვლავ პეტერბურგში მომიწია გამგზავრება და რადგან ამ ხანებში წერილი მაინც არ დაიბეჭდა, 1910 წლის, ნოემბერ-დეკემბერში პეტერბურგიდან პატივცემულ ვლ. ახმეტელაშვილის სახელზე გავგზავნე უკან დასაბრუნებლად საფოსტო მარკები. სამწუხაროდ, წერილი არავის დაუბრუნებია.

ეხლა—რადგან ნაშრომის შავი არ მაქვს და იმ წერილში დაგროვილ და გადამუშავებულ სტატისტიკურ ცნობებს საქართველოს მრეწველობისა და ვაჭრობა-აღებ-მიცემობის განვითარებაზე ფრიად სარგებლობის მოტანა შეუძლიან როგორც კერძოდ ჩემთვის ისე—შეიძლება მრავალ სხვა ჩემისთანებისათვისაც—უმორჩილესად მოგმართავთ ხსენებული ნაშრომი გადასცეთ „სახალხო გაზეთი“-ს რედაქციას და ან **დაზღვეული** კორესპონდენციით გამომიგზავნოთ შემდეგ ადრესით: **Баку-Раманы, промыслы Ш. Асадулаева, Θеод. Глонти.** შეიძლება თქვენ გარემოება და პირობა ხელთ არ გიწყობთ ეს თხოვნა შემისრულოთ, მაშინ გადაეცით დავალება თქვენს ოჯახის წევრს, რომ ჩემი თხოვნა სისრულეში მოიყვანონ.

რადგან ამ წერილის ბედი კარგად იცის აგრეთვე ბ. ნიკო ელიავამ, ამისათვის ბ. ელიავასაც ვთხოვ—შეიძლება ეს წერილი დღეს მის ხელთაც იყოს—ზემოდ აღნუსხულ წესით გადმომცეს ან პირდაპირ ჩემზე გამოგზავნით, ან „სახალხო გაზეთი“-ს რედაქციაში შეტანით.

დაიმედებული თხოვნის ასრულებაში, თქვენი პატივისმცემელი,

**თევდ. ზურაბის ძე ღლონტი.**

## დეკანოზ შიუკაშვილის წერილის გამო *)

რომ თელავის საკრებულო ტაძრის ორ-კლასიანი სკოლა განსვ. დეკან. ხელაშვილის დროს ჩემის მეცადინეობით, გამგის და დანარჩენ მასწავლებელთა ხელშეწყობით გაზრდილი და გაფურჩქვნილი, მ. შიუკაშვილის ხელში გადასვლიდან გამოიცვალა: დაჰკარგა ძველი ელფერი, სისტემატიურად შემცირდა მასწავლებელთა და მოსწავლეთა რიცხვი მასში, ბოლოს კიდეც გადაერთკლასიანდა და მასწავლებლად ხუთიდან მხოლოდ ერთი, ისიც თვით გამგის მ. შიუკაშვილის ქალი-ღა დარჩა—ეს ჭეშმარიტება ბატ. კორესპონდენტთ ბ. ბ. „კლერიკალმა“ და „ხარავანდამ“ გაზეთის ფურცლებზე გამოაცხადეს და ბრალს სამართლიანად სდებდნენ მ. შიუკაშვილს.

ამ უკანასკნელმაც „სახ. გაზ. მე-105 №-ში მოათავსა თავის გასამართლებელი წერილი, რომელშიაც იგი თავის თავზედ არავითარს დანაშაულობას არ ღებულობს და იმ ერთი არაკისა არ იყოს, სხვებზედ ათითებს.

მოწაფეთა რიცხვის შემცირების პირველ მიზეზად მ. შიუკაშვილი ასა-

*) ამ ხარჯთ-აღრიცხვასთან თავჯდომარემ კრებას მოახსენა თფილისის სახელმწიფო ბანკის განყოფილების ქაღალდის შინაარსი, რომლითაც აცნობინებდა გამგეობას, რომ 23 ამა თებერვალს თფილისში დაიწყება კავკასიის წვრილი კრედიტის წარმომადგენელთა კრება და ითხოვდა ერთ წარმომადგენელს ფოთის ამხანაგობისაგან. კრებამ ამ ხარჯისათვის გადასდო 60 მან.

*) ამ წერილს შეუცვლელადა ვბეჭდავთ, თანახმად საცენზურო წესდების 114 ხტ. მე-12-ე შენიშვნისა. **რედ.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელებს 1906 წ. მოძრაობას („სასწავლებლის კარებიდან ერეკებოდნენ მოწაფეებსაო“); მეორე მიზეზად მასახელებს მე; მესამე — სამოსწავლო ფულის აღებას ღარიბ-ღატაკ მშობელთაგან და მეოთხე—სამინისტრო და ბაღდოევის ცასაწყის სკოლების გახსნას („ამ ოთხი წლის წინაო“).

მე, ვიდრე ჩემ შესახებ ვიტყოდე რამეს, მინდა შევეხო დანარჩენ მიზეზების სიყალბეს. მოძრაობამ რახანია გადიარა და თუ კი ამ ოთხი წლის წინ, თვით მოძრაობის დროს დაარსებულს სკოლებში, სადაც სწავლის ფული პირველში თუმანია და მეორეში სამი და ექვსი თუმანი წელიწადში, მიდიოდნენ სწავლის მსურველები, მაშ ბ. შიუკაშვილისადმი რწმუნებულს ორ კლასიან სკოლას, სადაც სწავლის ფული მხოლოდ ექვსი მანეთია წელიწადში შეძლებულებზედ, უმეტესობაზედ კი არაფერი, რისთვისაც „სამადლოს“ ეძახდნენ, რადგან ხაზინიდგან გვეძლეოდა ჯამაგირები: მე—420 მან. და ბინა, ერთ მასწავლებელს 360 მან., დანარჩენ მასწავლებელთ 300 მ. თითოს და 300 მანეთიც შენობის ქირად წელიწადში,—უფრო მეტი მსურველი არ უნდა ჰყოლოდა?!

წინად ბ. შიუკაშვილის დრომდე ფასიანი კი არა, უფასო სკოლებიც იყო, მაგ. კავთისა და სამ-მასწავლებლიანი ღვთაებისა. მაგრამ მოწაფეთა რიცხვი ჩემ პირველ მასწავლებლობიდგან 1899 წ. დაწყებული, მაინც მუდამ წელს მატულობდა და თითო მასწავლებელიც ემატებოდა. სამ ადგილას დაქირავებული შენობები მოწაფეებით სავსე იყო და მრავალნი უადგილობის გამო კარში რჩებოდნენ.

ბ. შიუკაშვილი კი სწავლის თანდათანობითი საჭიროებას უკუღმა გვიმტკიცებს!

აი მე რაღა ბრალს მდებს: „მეორედ ამის მიზეზი გახლდათ ბ. ბ. კლერიკალის და ზარაფანდასაგან ქებულ-დიდებული და შეუდარებელი პედაგოგი ბ. ჯიკაძე, რომელმაც აქაოდა თავისუფლების ნიავმა მოჰბერაო, სასწავლებელში მეცადინეობაზედ ხელი აიღო, თვეობით სკოლას აკლდა, თელავის სამოსწავლო განყოფილების საბჭოს და სკოლის გამგის კანონიერს მოთხოვნილებას არ ასრულებდა და ეგოდენ გაზვიადდა, რომ ს. კონდოლში არყის ქარხანა გამართა, საიდანაც ტელეფონით უკარნახებდა გაკვეთილებს თავის მოწაფეებსაო“. თან თითონვე ურცხვად დასძენს: „საეპარქიო მეთვალყურის 1905 წ. ანგარიშიდგან დაწყებული ამა 1910 წლის ანგარიშამდე, ყოველგან ამოიკითხავთ, რომ თელავის საკრებულო ტაძრის სკოლა სწავლისა და წეს-წყობილების მხრივ ძალიან კარგს და განსაკუთრებულს ყურადღებას იქცევს, რისთვისაც მადლობელნი უნდა ვიყვნეთ მის გამგისაო“.

დაუჯერებელი და საზიზღარი ცილის წამებაც ასეთი უნდა! განა შესაძლებელია, რომ მასწავლებელმა სასწავლებელში მეცადინეობაზედ ხელი აიღოს, თვეობით სკოლას აკლდეს, სწავლა და წესწყობილება კი ამ სკოლაში მოსაწონი იყოს?!

მიკვირს ან რედაქციამ რატომ ყურადღება არ მიაქცია ამ ლოღიკურ მსჯელობის უნიშან-წყლობას და აშკარა სიცრუვეს.

ხომ მ. შიუკაშვილი ვერ დაამტკიცებს ვერც საკლასო დღიურებიდგან და ვერც ყოფილ იმ დროს მასწავლებელთა მოწმობით, რომ მე სასწავლებელში მეცადინეობაზედ ხელი ამეღოს და თვეობით დავკლებოდე სკოლას და, რაღად გამოპირა თვისი ჩემდამი ჩუმი მტრობა, ისიც ასეთი უცნაურის მოჭორებით და ცილისწამებით! მაგრამ ნათქვამია „კოკა წყლის გზაზე გატყდებაო“ და ასეც მოხდა. ეხლა ცხადია ყველაფერი!

თან პოლიტიკურადაც მეხება, და თუ ეს ორივე ბრალდება მ. შიუკაშვილმა უფროსის ყურამდეც მიიყვანა, რა თქმა უნდა, რევიზიის დროს კარგს თვალზე არ შემომხედავდა და აკი კიდეც...

თორემ რა მქონდა დასაწუნი მე, ყოველს განყოფილებებში ნამსახურს და გამოცდილს მასწავლებელს, (აგრეთვე ლუკაშვილის ქალს), შედარებით მ. შიუკაშვილის ქალთან, რომელიც მთელს თავის მასწავლებლობას ერთად-ერთს პირველ განყოფილებაში ატარებს და მაინც ბევრი არა საპატიებელი ნაკლულევანებები აქვს სწავლების საქმეში.

ეს ხომ პირველი რევიზია არ იყო მ. შიუკაშვილის ხელში და გარდა ქებისა, რომელი რევიზორის შენიშვნას მომაგონებს!

დეე თუნდ კანონიერი ყოფილიყო ამ უკანასკნელი ბ. რევიზორის შენიშვნები, ხომ შეიძლებოდა მიგვეღო მხედველობაში შემდეგისათვის და თვით ამ პატ. მეთვალყურის ანგარიშებში ნაქები სკოლა უცბად არ გადაერთ-კლასიანებინათ?! მერე ისე აჩქარეს, რომ წლიურს გამოცდას არც კი მოუცადეს, რომლის შემდეგაც თამამად ვიტყვი, რომ ღირსი არ იყო ეს სკოლა გადაერთ-კლასიანებისა.

მაგრამ, როგორც ბ. „ზარაფანდაც“ სწერდა „სახალხო გაზ.“-ს მე-56 №-ში, მ. შიუკაშვილმა თავიდანვე თავისი მოქმედება პირადულს ნიადაგზე დაამყარა. საერთოდ ჩვენ ყველა მასწავლებელნი დიდს უსამართლობას განვიცდით მისგან. ყველანი ვეჯავრებოდით და მტრულად გვიცქეროდა. გვეკინკლავებოდა უსაბუთოდ. ცდილობდა ჩაექრო ჩვენში ძველებური ხალისი. სწავლის საქმეში უფრო ხელს გვიშლიდა, ვიდრე გვიმართავდა. არავითარს სახელმძღვანელოებს არ ნაღვლობდა. არც სკოლის საბჭო გვქონდა და არც კრებები სკოლის შესახებ საკითხების გადასაწყვეტად. მოწაფეთა მშობლებს უდიერად ეკიდებოდა. მთხოვნელს არ მოუსმენდა და „გაცი“, „გაცი“-ს ძახილით (ასე იცოდა), ეზოს კარებს გააცილებდა. მოწაფეთა ნორჩ-ცხოვრებაშიაც ბევრი უსამართლო და არა კაცთ-მოყვარეობის მაგალითები შეუტანია, რომლებშიაც თვით ბავშვნი ჰკიცხავდნენ. ფულის ანგარიშს ჩვენ არ გვაკითხებდა და წლიურ ანგარიშზედ კი ხელს გვაწერინებდა. მე თუ ვიტყოდი რამეს, სწორედ იმისთვის უფრო ამითვალისწინა და გადამეკიდა. მომისპო შეშა და ბინის წართმევაც სცადა. აუტანელი შეიქმნა დღითი-დღე მასთან სამსახური. მრავალ მაგალითების შორის მოვიყვან მხოლოდ ორიოდეს:

შეწუხებულ ბავშვისთვის სკოლის მოსამსახურე ექიმთან გავგზავნე, წინ მ. შიუკაშვილი ჩვენს ორ მასწავლებელთან ერთად შემოჰყროდა, გამოებრუნებინა და გასჯავრებოდა „რად დაემორჩილეო“! ამის გამო ვიდრე ბავშვი მომირჩებოდა სულ გულ-დაწყვეტილები და უხალისოთ იყვნენ მთელი მოსწავლენი და მასწავლებელნი.

სკოლის საჭიროების ადგილი, რომელიც ჩემი ბინის ახლო იყო, მთელ სამოსწავლო წლის ბოლო ოთხი თვე, საზარელ სიბინძურეში ამყოფა ჩემის ქიშპობით და ვიდრე სასამართლომ მ. შიუკაშვილი ერთი თუმნით არ დააჯარიმა, თანახმად პოლიციის ოქმისა, მანამ არ იკადრა ყურადღების მიქცევა.

სხვა მიზეზს. რომ ვერას პოულობდა, ცდილობდა ეკკლესიაში გალობა არ შემდგარიყო და საჩივლელად საბუთი ჰქონოდა.

ბევრჯელ გვიგალობნია კიდეც, მაგრამ განყოფილების თავმჯდომარის და წევრებისთვის შეუჩივლია: „არა გალობენო“.

განსვენ. ხელაშვილის დროს ყველა პარალელურს განყოფილებებში უსასყიდლოდ ზედ მეტ გალობის გაკვეთილებს ვაძლევდი და სანაქებო მგალობელთა გუნდი მყვანდა, რომელსაც არა სავალდებულო დროსაც კი ვაგალობებდი უსასყიდლოდ საკრებულო ტაძარში, როგორც მაგალ. საშობაოდ, სააღდგომოდ, ხშირად ზაფხულშიაც და მ. შიუკაშვილის ხელში განა ჩემს პირდაპირ მოვალეობასაც კი ვუღალატებდი?!

ამის ხელში „გაზვიადება“ ყოვლად შეუძლებელი და წარმოუდგენელი იყო და ამ სიტყვის ხმარებისათვის მ. შიუკაშვილი ტყუილად გარჯილა. რაც შეეხება არყის ქარხანას, მე არ მქონია გამართული, თუმცა ცოტა რამ დამოკიდებულება მქონდა ჩემი ნათესავის ბ.—ვის ქარხანასთან, სადაც მუდმივ მეთვალ-ყურედ ჩემი ძმა მყვანდა დაყენებული, როგორც ადგილობრივი მცხოვრები, მაგრამ უჩემობა ბევრს აკლდათ და ჩქარა ზარალით დაბოლოვდა ამ ქარხნის საქმე.

ხატიაშვილის ქალის დათხოვნას და თავის ქალის გამწესებასაც მ. შიუკაშვილი მთავრობას აბრალებს. საქმე კი ასე იყო: მ. შიუკაშვილის ქალმა ავადმყოფობით „ოტპუსკი“ აიღო და ტფილისში წავიდა ორი თვით, სადაც მუზიკალურს სასწავლებელში შესულიყო სასწავლებლად. მისს ადგილზე მერე გაამწესეს ხატიაშვილის ქალი. ერთი წლის შემდეგ მუსიკალ. სასწავლებლიდან მ. შიუკაშვილის ქალი შინ დაბრუნდა და ისევ მასწავლებლობა მოინდომა მამასთან. ერთს დღეს მ. შიუკაშვილმა გამოუცხადა ხატიაშვილის ქალს, რომ, რადგან ამ სამიოდ დღეში თქვენ ჯვარი გდაგიწერიათ, დათხოვნილი ხართ და ჩემი ქალია დანიშნულიო (თითქოს ქმრიანები ეხლაც ადგილებზედ არ იყვნენ)! ეს სწრაფად და თავის სასარგებლოდ ვისი მეცადინეობითაც მოხდებოდა ეს, თვითონ მკითხველი ადვილად მიხვდება მ. შიუკაშვილს კი ჰგონია ვერას მიმიხვდებიანო და გულუბრყვილოდ მართლულობს თავს ყველაფერში. *)

აი სწორედ ამისთანა დაუდგრომლობამ სწავლა-განათლების სფერაშიაც კი გაბატონებულმა, მოუტანა უკუღმართი ბოლო-ხსენებულს სკოლას. თელავის განყოფილებას დასასჯელად შევენანე და ისევ უფროს მასწავლებლად დამნიშნა ალვანის ორკლასიან სკოლაში, მაგრამ რაკი სოფელმა წლეობით შენობა ვერ მოასწრო, ისევ ერთი მასწავლებელი დარჩა და მე, დროებით სიახლოვის გამო, წინანდალი ვარჩიე. ლუკაშვილის ქალმაც პირველი მასწავლებლის ადგილი მიიღო თიანეთში. ამით ვათავებ კამათს მ. შიუკაშვილთან და წამოყენებულს ფაქტებს, სადაც და როცა ჰსურს დავუმტკიცებ. ამასთან ვთხოვ ყველა რედაქციებს გადაბეჭდონ ეს წერილი და ამის გარდა, ვიდრე მ. შიუკაშვილი წამოყენებულს ჩემდა მიმართ ბრალდებას არ დაამტკიცებდეს, სხვა მაგვარი აღარა დაუბეჭდონრა.

მე მივმართე საქართველოს ეგზარხოსს ინოკენტის და ვსთხოვე მ. შიუკაშვილი პასუხის გებაში მიეცა პრესაში აშკარა ცილის წამების გამო, რის მეოხებითაც 20 წლის ნამსახური და ცოლშვილის პატრონი კაცი თვალსაჩინოდ დავისაჯე, მაგრამ მისი მაღალ ყოვლად უსამღვდელლოესობა წინადადებას მაძლევს: „შვიდობიანად გაათავეთ საქმე დეკანოზთანაო“. (25 ნოემბ. № 5347).

მასწავლებელი **ონისიმე ივანეს ძე**
ს. წინანდალი **ჯიკაძე.**

*) თვით ამ ბოლო რევიზიის დროსაც შესაფერად უზრუნველად ეჩვენებინა სკოლა.

## წერილი რედ. მიმართ

ბ-ნო რედაქტორო!

ნება მიბოძეთ თქვენი პატივცემული გაზეთის საშუალებით უღრმესი მადლობა გადაუხადო ბ-ნ სიმონ ტოროტაძეს, რომელმაც კეთილ ინება და ჭანჭათის სკოლის ბიბლიოთეკას შემოსწირა როგორც თავისი აგრეთვე სხვა და სხვა პირთა შორის შეკრებილი წიგნები. შემომწირველთა სია:

1. ბ-ნი გიგო შერაშიძე, 2. ბ-ნი იონა ბელიაშვილი, 3. მასწავლებელი მითაიშვილი, 4. ბ. ნ. წუწუნავა, 5. ბ. ფილიმონ ვადაჭკორია, 6. ბ. თევდორე გიგინეიშვილი, 7. ქ-ნი ნატაშა სიხარულიძე და 8. ბ. კირილე სიხარულიძე.

უადგილობის გამო წიგნების სიას ვერ ვადგენ ამ წერილში და სკოლის კედელზე კი გაკრულია როგორც წიგნების სია, ისე შემომწირველების სახელი და გვარი. ვსთხოვ მიიღონ ჩემ მიერ, მოხსენებულმა პირებმა, ჩემი უგულითადესი მადლობა.

პატივისცემით მასწავლებელი
**მელიტონ შარაშიძე.**

—

ბატონო რედაქტორო! ნება მოგვეცით „სახალხო გაზეთის“ საშუალებით მადლობა გამოუცხადოთ, თავადს დიმიტრი ივანეს ძეს მაყაშვილს, რომელმაც კეთილი ინება და შემოსწირა სოფლის იყალთოს ეკკლესიებს „ღვთაებისას და წმ. იოანე ნათლისმცემლისას“ თითო ხელი სამღვდელო შესამოსი ღირებული ოთხ-ოთხ თუმნად. რაზედაც გულითადს მადლობას ვუხდით ჩვენს მრევლთან ერთად და ვუსურვებთ მას დღეგრძელობას და სხვა მრავალი კეთილ საქმის გაკეთებას.

სოფ. იყალთოს წმ. იოანე ნათლის მცემლის **მღვდელი იოანე მრევლოვი** და ამავე სოფლის იყალთოს ღვთაების ეკკლესიის **მღვ. ვახილ კანანაძე.**

—

ბატონო რედაქტორო! გთხოვთ კეთილ ინებოთ და ეს პატარა წერილი დაბეჭდოთ.

თქვენის პატივცემულ გაზეთის 16 დეკემბრის ნომერში მოთავსებულია სამადლობელი წერილი შემომწირველთა სიით მარტყოფის სკოლის სასარგებლოდ, რომელსაც ჩემი სახელი და გვარიც აწერია. ამით ვაუწყებ მკითხველ საზოგადოებას, რომ მე ამ წერილზე ხელი არ მომიწერია და არც არავისთვის დამივალებია ხელის-მოწერა.

პირადად ჩემს შესახებ უმორჩილესად ვსთხოვ ჩემს მაგიერ ჩემდა დაუკითხავად ხელს ნურავინ მოაწერს.

საერთოდ კი ნებას მივცემ ჩემს თავს და წერილის ავტორს გავაფრთხილებ, რომ წერა-კითხვის არამცოდნეთა მაგივრადაც მათ და ნება დაურთველად ხელის მოწერა ზრდილობას არ შეადგენს ზოგ შემთხვევაში ხშირად მეტად სახიფათოცაა.

**ალ. ლეჟავა.**


# განცხადებანი

სპეციალური
**სამკურნალო**
კანისა, ვენერიულის და ათაშანგის სნეულებათა.
ველიკოკნიაჟის ქ. N 9, ვარანცოვის ძეგლის მახლობლად.
ავადმყოფებს ყოველ დღე მიიღებენ ექიმები გ. ა. გედალინი და ი. მ. ზაგლუდოვსკი 1—5 საათამდე და საღ. 7 ნახ.—8 ნახ. მანდილოსანთა და ბავშვთა იღება 4—5 საათამდე, ანალიზები, შეხვევა, ძიძათა მოსამსახურეთა და მეძუძურთა შემოწმება.
შეხვლის ფასი—40 კ. კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.
ერლიხ-ხატას პრეპარატით 606 წამლობა. ელექტრონით წმენდა. (0—6—33)

**სტამბის**
და ლიტოგრაფიის ხელოსნები: ამწყობები, დამბეჭდავები, მეტრენტიპენი, მაშინაზე მომუშავენი, ცინკოგრაფიის ხელოსნები და სხ.-რომელნიც ადგილს ეძებენ და სტამბის პატრონნი, რომელთაც ეს ხელოსნები სჭირდებათ, აცხადებენ „Всеобщій Типографскій Указатель“-ში, რომელსაც მთელ რუსეთის ყველა სტამბა-ლიტოგრაფიებში კითხულობენ. ადგილის მძებნელისთვის 50 კაპ., თითო განაცხადება; სტამბა-ლიტოგრაფიის პატრონის განცხადება ხელოსნის საძიებლად სტრიქონი 30 კაპ. შეიძლება ფოსტ. მარკ., სანიმუშო ნომერი უფასოთ. კანტორა და რედაქცია იმყოფება მოსკოვში, მიასნიცკის ქ., N 20. (3—3)

◀ მშობიარეთათვის ▶
**თავშესაფარი ბებია-ქალის თუხარელისა.**
ოლგას ქ., ხანებიოს ინსტიტ. პირდაპირ. მშობიარენი და ფეხმძიმე ქალები მიიღებიან ყოველ დროს დღეცა და ღამეც. არის საერთო საწოლი, ცალკე ოთახები და ოთახი საიდუმლოდ მომსვლელთათვის.
მიღება ქალის ავადმყოფობით სნეულთა, ძიძების გასინჯვა, ყვავილის აცრა და მასსაჟი ყოველ-დღე დილის 6 — 4-დან ნაშუადღევის 12 ს. (თ.—62)

მიმდინარე წლის 30 დეკემბრიდან
**გაიხსნა**
მუხრანსკის ახალი კერძო
**სამკურნალო**
მუდმივის საწოლებით.
Тифлисъ—Псковская ул., 9. и 48 Циціановскаго подъема, противъ новаго (Мухранскаго) моста. Телефонъ N 370.
ავადმყოფებს ყოველ დღე სპეციალისტი ექიმები მიიღებენ.
**ნ. მ. ახპიხოვი**—(მედ. ექ.), ყურისა, ცხვირ. და ყელის სნეულ. 11—12 საათ.
**გ. ა. ახვერდოვი**—(მედიც. ექ.), ათაშანგ., ვენერიულ და კანის სნეულ. 1 ნახ. 2 ნახევარ საათამდე.
**ა. ა. გაზაზოვი**—შინაგან სნეულებან. დილის 10—11 საათ.
**ტ. ი. გეორგ-ბეგიანი**—(მედ. ექ.), თვალის სნეულ. (ორშ., ოთხშ. და პარასკევობით), დილ. 8 ნახ. 9 ნახ. საათ.
**ქ. ა. გონიევი**—ბავშვთა სნეულ. (სამშ., ხუთშ. და შაბ.) 1 ნახ. 2 საათამდე.
**ა. ი. გრიგორიანი**—ქირურგიულ სნეულ. დილ. 11—12 საათ.
**ი. გ. კალმიკაროვი**—დედათა სნეულ. 1—2 საათამდე.
**ა. ი. კატანიან**—(მედ. ექ.), შინაგან სნეულ. 12—1 ს.
**მ. დ. კილოხანიძე**—ქირურგ. სნეულ. (სამშ., ხუთშ. და პარასკ.) 12 ნახ. 1 ს.
**გ. ა. მელკონიანი**—ქირურგ. სნეულ. 5—6 ს.
**ტ. ნ. ტერ-ნერსესოვი**—ქირურგ. სნეულ. (ორშ., ოთხშ., შაბ.), 1 ნახ.—2 ს.
ათაშანგის წამლობა ერლიხ-ხატას პრეპარატით (Ehrlich-Hata „606“-ით.
დარიგების ფასი—50 კ. სტაციონალური ექიმობისთვის 3—5 მანეთამდე, ოპერაციები, შეხვევა, კონსულტაცია და სხვ. მორიგებით.
სამკურნალოს გამგე **ექ. ა. ი. გრიგორიანი.** № 646. 100—5 (0—1003—35)

**„ნაკადული“**
(წელიწადი მეშვიდე)
1911 წელს გამოვა იმავე პროგრამით, როგორც აქამდე გამოდიოდა. წლის განმავლობაში ხელის-მომწერი მიიღებს
**24** წიგნი მცირე წლოვანთათ. **12** წიგნი მოზრდილთათვის.
საჩუქრად მიეცემათ: 1. ლევ. ტოლსტოის ბავშვობა და სიყრმე, რომელიც ითარგმნება განსაკუთრებით „ნაკადულისა“-თვის, ლევ ტოლსტოის ბიოგრაფიით და სურათით. 2. რჩეულ მოთხრობათა კრებული.
ფასი ჟურნალისა: წლიურად ორივე გამოცემა ხუთი მანეთი, ნახევარი წლით 3 მანეთი; საზღვარ-გარედ: წლიურად—7 მანეთი. ცალ-ცალკე გამოცემა მცირეწლოვანთათვის 24 წიგნი—სამი მანეთი, მოზრდილთათვის 12 წიგნი—სამი მანეთი.
ხელის მოწერა მიიღება ტფილისში. „ნაკადულის“ რედაქციაში (გოლოვინის პროსპექტზე. 8. და წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მაღაზიაში. თავ.-აზნაურთ ქარვასლაში).
რედაქტორი **ნინო ნაკაშიძე.**
გამომცემელი **თ. პ. ი. თუმანიშვილი.**

◀ „სორაპნის“ ამხანაგობის გამოცემა ▶
**ქართველი და უცხოელი მწერლები**
წიგნი მეექვსე
მიიღება ხელის მოწერა მეექვსე წიგნზე.
**დრამები და კომედიები**
წიგნი დაიბეჭდება ვასო აბაშიძის რედაქციით
ამ წიგნში მოთავსებული იქნება, როგორც ქართველ აგრეთვე უცხოელ დრამატურგების ნაწარმოები. წიგნი გამოვა დიდი ზომისა, სამჯერ მეტი ვიდრე ჩვენი ჩვეულებრივი გამოცემებია,—იქნება დასურათებული,—მოთავსებული იქნება სასიმღერო კუპლეტებისათვის ნოტები. უმთავრესი ყურადღება იქნება მიქცეული იმაზედ, რომ წიგნში მოთავსდეს ისეთი დრამები და კომედიები, რომლის დადგმა შეიძლებოდეს პროვინციაში.
არც ერთი პიესა არ დაიბეჭდება წიგნში ისეთი, რომელიც დაბეჭდილი არის.
წიგნი ეღირება ხელის მომწერთათვის ერთი მანეთი.
ხელის მოწერა დაიწყო 10 თებერვალს დაგათავდება 1 აპრილს. დაბეჭდილი წიგნი აუცილებლად დაურიგდებათ ხელის მომწერლებს—1 ივნისს.
წიგნი ცალკე გასასყიდად არ გამოვა
ვისაც ესურვება ამ წიგნის გამოწერა ფოსტით, მან უნდა გამოგზავნოს გასაგზავნიანად 1 მ. 50 კაპ.
ფულის გამოგზავნა შეიძლება შემდეგი ადრესით: Тифлисъ типографія „Сорапань“.
ტფილისში ხელის მოწერა შეიძლება 1) ქართველთა შორის წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში, 2) „ნოვაია რეჩის“ მაღაზიაში. კიკნაძესთან, 3) „ელიონის“ მაღაზიაში, კიროჩნი ქუჩაზე და 4) სოსიკო მერკვილაძის მაღაზიაში.—პროვინციაში ყველა აგენტებთან. (15— —1)

**ძმათა ავსარქისოვების**
ბაღეულობაში
იყიდება საზღვარ-გარეთული, რუსული და საუკეთესო ადგილობრივი
**სანერგე ხეილები**
ხელმისაწდომ ფასებში.
ადრესი; ზკრა (ამიერ კავკ. რკ. გზა) ავსარქისოვი. კატალოგები მოთხოვნილებისათანავე უფასოდ იგზავნება. (5—1096—1

ვ. უიფიანის დრამა
**სამეგრელოს მთავარი ◀ ლევან**
ისტორიული დრამა 5 მოქმედებად
გამოცემა გაზ. „დროების“ რედაქციისა და კ. მესხიევისა.
ფასი ორი აბაზი
იყიდება „სახ. გაზ.“ რედაქციაში და წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში

**მეაბრეშუმეთა საყურადღებოდ**
ამ საბრეშუმო სეზონისათვის გვაქვს მეცნიერულად გაუმჯობესებული იშების **ლოჟიეს** ფირმის შემდეგი აბრეშუმის თესლები: 1) ყვითელი, შერეული აზიური; 2) მსხვილი პარკი, ჩალის ფერი, ვაარის ჯიში; 3) მოგრძო პარკი, მკრთალი ყვითელი ლოჟიედ წოდებული და 4) სამჟღლი პარკი, მძიმე, ყვითელი ლოჟიედ წოდებული; თეთრი ჯიშების გვაქვს: 1) ბრუსისა; 2) კორეისა; 3) ანდრიანოპოლისა და 4) ბაღდათისა.
თესლები მომზადებულია თანახმა პასტერის სისტემისა და შემოწმებულია საფრანგეთის მთავრობის მიერ.
წარსული ცდის შემდეგ მოგახსენებთ, რომ წინაღმდეგ მტრების ენებისა, ამ ჯიშების თესლების შესანიშნავ პარკში ყოველგან: ხონში, სამტრედიაში, დიდი ჯიხაიშში, სენაკში, ლანჩხუთში, ჩოხატაურში და სხვაგანაც მეტი ფასი მისცენ მყიდველებმა, რადგანაც მეტად სასარგებლოა მეაბრეშუმეთათვის. შეიძინეთ მხოლოდ გაუმჯობესებული ჯიშების სალი აბრეშუმის თესლები, რომლის პარკსაც ყოველგან დიდი მოთხოვნილება აქვს.
ნაღდად მყიდველთათვის ღირს 2 მან. 60 კ. 6 მისხალი. იქნება სამ მისხლიანი კოლოფებიც. ამ ფასიდან გამყიდავ-აგენტებს ეძლევა შრომის შესაფერი სასყიდელი.
სანდოებს ან საზოგადოებისაგან წარმოდგენილ პირებს მივიღებ აგენტებად. მეაბრეშუმეებს თესლთან ერთად მიეცემათ დარიგების ფურცლები. კრებებზედაც მივალ დარიგების მისაცემად, როცა ამაზე თავის სურვილს შემატყობინებს რომელიმე საზოგადოება.
პარტიობით მყიდველ-გამყიდველთ ვთხოვ მომელაპარაკონ და მომმართონ შემდეგის ადრესით: **იოსებ კაკაბაძეს—ქუთაისში.** (9—1205—8)




მიიღეთ და მოითხოვეთ
**აბრეშუმის**
◀ ჭიის თესლი ▶
ბაღდადურ თეთრის ჯიშისა.
ალექს. ვარპეტიანისა და ამხ. ფირმისა (წინად ა. ზ. არსენისა და ამხ. ფირმად ყოფილი). კავკ. საბრეშუმო სადგურის თეთრი ბანდეროლით, ხაგანგებოთ დამზადებული.
ტიგრან ხაჩიანცის დაკვეთით, საგანგებოდ ქუთაისის გუბერნიისათვის.
თითო კოლოფში სწორედ 6 მისხალი, (25 გრამი), კარგად შემოწმებული თესლია კისეის ტოპრაკებით ფირმის შტემპელითა და ლაქის ბეჭედ-დასმული „ა. ვართანიანი“, კოლოფშივე არის 1 ცალი დარიგება ჭიის რიგიან მოვლაზე. ქალაქ გარედ მყოფნი მყიდველნი მოიკითხავენ: კანტორა სიონის ქუჩ., ტამრის I ქიმში მოთავსებული, ვარწუდაროვის მემკვიდრეთა სახლში N 6, და ღიაა დილის 10 ს.—2 საათამდე.
მთელის რუსეთის იმპერიისათვის ერთად-ერთი წარმომადგენელი ტიგრან სერგოს ძე ხაჩიანცი. ადრესი წერილებისა და დეპეშებისათვის: Тифлисъ, Тигранъ Хачіанцъ (12—1206—4

საუკეთესო წითელი (Кет.) ხიზილალა
**სალიანის თევზთ მრეწველ და მოვაჭრეთ ძმ. ძებველოვების მაღაზიას**
პუშკინის ქ., სახლი № 9, ტელეფონი № 712,
ყოველ დღე განუწყვეტლივ მოდის
**ახალ-ახალი ოსეტრინა** (ზუთხი) და **სევრიუგა** (ტარაღანა).
**ხიზილალა**
ახალი (Зернистая).
პარკისა და კოლოფებით
საუკეთესო დოშები და ზურგიელები
**მიღებულია დვინის ორაგული** (სიომგა)
მივიღეთ საუკეთესო პაისუნი ხიზილალა
გირვანქა 2 მან.—2 მან. 40 კ.
და წითელი ხიზილალა (Кетовая). 50 კ. 60 კ. გირ.
**მივიღეთ ახალი ნავაგა**
აგრე ივიღეთ დიდი პარტია ყოველნაირი კონსერვები.
(წ—128—109)
საუკეთესო წითელი (Кет.) ხიზილალა
საუკეთესო წითელი (Кетовая) ხიზილალა
საუკეთესო წითელი (Кетовая) ხიზილალა